

ახალი აეროპორტი საათში 2000 მგზავრს მოემსახურება
A3



გერმანია საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში
A4



"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები
A16

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 16 სექტემბერი, 2005 წელი. №207 (1067) — ფასი 50 თეთრი

## ამბები

### თბილისი მახინჯი ბილბორდების გარეშე



"დადგება იმ უნებართვო ბილბორდების დემონტაჟის საკითხი, რომელიც დედაქალაქის იერსახეს ამახინჯებს"

A2

## ამბები

### რუსეთის საგარეო უწყების განცხადება სრულიად უსაფუძვლოა

ცნობილია, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სამხედრო ხარჯების გაზრდისა და ჩეხეთის მიერ საბრძოლო მასალის გადმოცემის გამო შეშფოთება გამოთქვა.

A2

## ამბები

### სანიკიძის მკვლელობაში ბრალდებულებს ავსტრიიდან საქართველოში ჩამოიყვანენ

ავსტრიის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადმოიყვანენ საქართველოს ორ მოქალაქეს - ავსტრიაში ჩადენილი დანაშაულისთვის წლების წინ გასამართლებულ აკაკი ჯავახაძესა და გიორგი ონიანს.

A3

## ამბები

### პროკურორის ასაკი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გუშინ განიხილა გენერალურ პროკურატურაში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც, უნდა გაუქმდეს საოლქო, ქალაქის და რაიონის პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნისთვის სავალდებულო ხუთწლიანი სტაჟი.

A3

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | 31 |
| ტყიბული | 30 | 26 |
| სოხუმი | 30 | 28 |
| დმანისი | 26 | 25 |
| ბორი | 27 | 25 |
| ონი | 23 | 21 |
| ზუგდიდი | 33 | 32 |
| ახმეტა | 31 | 31 |
| გაგრა | 26 | 26 |
| სამტრედია | 33 | 31 |
| ონი | 22 | 23 |
| ზუგდიდი | 30 | 33 |
| ახმეტა | 28 | 31 |
| გაგრა | 25 | 26 |
| სამტრედია | 30 | 33 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.2014 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2684 |
| რუბლი | 0.0633 |

ამბები A 2
ამბები A 3
უცხოეთი A 4
რევიუ A 5
სტუდენტთა სია A 6-15
რეკლამა A 7
სხვადასხვა A16

# "ამორალური ანექსია"

## სააკაშვილი გაერო-ს ტრიბუნიდან დახმარებას ითხოვს

ნინო გომართელი

*შეერთებული შტატები; ნიუ-იორკი;*
*გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 საიუბილეო სესია;*
*ადგილობრივი დროით 11:00 საათი.*
*170-მდე მსოფლიო ლიდერის წინაშე სიტყვით გამოდის მიხეილ სააკაშვილი.*
*მთავარი მესიჯი - კონფლიქტების დასარეგულირებლად საქართველოს საერთაშორისო დახმარება სჭირდება.*

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებაში გაერო-ს და საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გააქტიურება, რუსი ჩინოვნიკების უკანონო ქმედებები და რაც მთავარია, "საქართველოს ხელისუფლების წარმატება თითქმის ყველა სფეროში" - ეს ის საკითხებია, რომლებზეც მიხეილ სააკაშვილმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან ისაუბრა.

გაგრძელება A2 გვერდზე



*მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა გაეროში 2004 წელს.*

# პრაიმერი შაბათს გაიმართება

საქართველოს ხუთ საარჩევნო ოლქში ოთხი ოპოზიციური პარტია პრაიმერს ჩაატარებს. პრაიმერის გასამართად შექმნილი ე.წ. ოპოზიციური ცესკო-ს წევრი, "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე აცხადებს, რომ **"პრაიმერისთვის ყველაფერი მზად არის და ყველა სახის დოკუმენტაცია და ინვენტარი საარჩევნო ოლქებში გადაიგზავნება."**

რაც შეეხება სარეკლამო კამპანიას, როგორც კაციტაძე აცხადებს, **"ოპოზიციამ მოკრძალებული სარეკლამო კამპანია გასწია."** ოფიციალური ინფორმაციით, ეს კამპანია ოთხივე ოპოზიციურ პარტიას, ჯამში, 15 ათასი ლარი დაუჯდა.

დღეს იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც არჩევნები გაიმართება, უკვე გამოიკვრება სარეკლამო პლაკატები. როგორც ოპოზიციონერები აცხადებენ, არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ პარტიებს რაიონებში და სოფლებში უბნების მოსაწყობად მოსახლეობა ინვენტარით და სხვა შესაძლო საშუალებებით დაეხმარა. მამუკა კაციტაძის განცხადებით, ორ საარჩევნო ოლქში - ბათუმსა და ისანში, რამდენიმე საარჩევნო უბანი ღია ცის ქვეშ მოეწყობა.

**"ჩვენ გამჭვირვალობის ასეთ ფორმას მივმართეთ, რადგან გვინდოდა, რაც საარჩევნო უბანზე ხდებოდა, ყველას დაენახა,"** - აღნიშნა კაციტაძემ.

**24 საათი**

# იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი სისტემაში კორუფციაზე საუბრობს

*ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაწყებულ სკანდალს საბოლოოდ იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი შეეწირა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ "რეზბალნიცაში" მოულოდნელი და საგანგებო "წმენდა" ჩატარდა, რა დროსაც 55 პატიმარი N1 საპყრობილეში გადაიყვანეს. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავადმყოფ პატიმრებს არანაირი სამედიცინო შემოწმება არ ჩატარებიათ, რის გამოც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, 35 პატიმარი კვლავ სამედიცინო განყოფილებაში დაებრუნებინა.*

თამარ კაციტაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რამაზ ღულაძემ მომხდარს ჯერ კიდევ ორი დღის წინ დანაშაულებრივი და უკანონო უწოდა, რაშიც იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია დაადანაშაულა. რამაზ ღულაძეს მიაჩნია, რომ იუსტიციის სამინისტრომ აღნიშნული ოპერაცია თავის გამოჩენისა და ერთგვარი პიარკამპანიის გაწევის მიზნით ჩაატარა. მაშინვე მან იუსტიციის მინისტრს მიმართა თხოვნით, შეიქმნას ექიმებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისია, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტსა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არსებულ მდგომარეობას შეისწავლის. რამაზ ღულაძის მტკიცებით, არც ერთი პატიმარი, რომელიც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანილია იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე და მისი გადაწყვეტილებით, ჯანმრთელი არ არის. თუმცა, აქვე იმასაც დასძენს, რომ სამედიცინო დეპარტამენტის გვერდის ავლით ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჯანმრთელი პატიმრები მართლაც ხვდებიან.

მოულოდნელად ყველაფერი ღულაძის წინააღმდეგ შეტრიალდა. იუსტიციის მინისტრმა, საბოლოოდ, გენერალური ინსპექციის მხარე დაიჭირა და აქედან გამომდინარე, ღულაძე იძულებული გჰხდა, გადადგომის შესახებ განცხადება სახალხო დამცველის ოფისში გაეკეთებინა.

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ღულაძემ განაცხადა: **"სასჯელაღსრულებით სისტემაში კორუფციის დაძლევა იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას პრიორიტეტად უნდა ჰქონდეს გამოცხადებული. ამ იმედით დავიწყე სამინისტროში მუშაობა, მაგრამ როდესაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე არის შოთა კოპაძე, გენინსპექტორი ირაკლი ფანცხავა, იუსტიციის მინისტრი კი მხოლოდ მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იღებს სრულიად გაუგებარ გადაწყვეტილებებს, ასეთ სიტუაციაში აზრს კარგავს სისტემაში მუშაობა."**

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

# ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აბიტურიენტების საბოლოო სია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აქვეყნებენ საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აბიტურიენტების საბოლოო სიას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

პუბლიკაციაში მითითებულია ფაკულტეტის, სპეციალობის დასახელება, ჩარიცხული სტუდენტის გვარი და სახელი, მიიღო თუ არა სახელმწიფო გრანტი და აბიტურიენტის საკონკურსო ქულა იმ ფაკულტეტისათვის, რომელზეც იგი ჩაირიცხა.

სრული პუბლიკაცია გამოქვეყნდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდებზე (www.mes.gov.ge www.naec.ge).

სრულ პუბლიკაციაში საგაზეთო ინფორმაციის გარდა, მითითებული იქნება: აბიტურიენტის საიდენტიფიკაციო ნომერი, ნედლი და სკალირებული ქულა თითოეულ საგამოცდო საგანში, სკალირებული ქულების ჯამი, სარეიტინგო ნომერი. ასევე მითითებული იქნება სპეციალობის მიერ დაწესებული საგანთა კოეფიციენტები და პრიორიტეტები, მისაღები ადგილების რაოდენობა და ფულადი გადასახადის ოდენობა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 17-დან 21 სექტემბრის ჩათვლით გასცემს გამოცდებში მონაწილეობის სერტიფიკატებს აბიტურიენტებს, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები.

**სერტიფიკატების გაცემა მოხდება რაიონულ სარეგისტრაციო პუნქტებში.**

თბილისში სერტიფიკატების გაცემა იწარმოებს შემდეგი განრიგის მიხედვით:

**ვაკე, საბურთალო:** ვაჟა-ფშაველას 49, გეგელიას (ყოფილი კომაროვის) სახ.ფიზიკა-მათემატიკური სკოლა;

**ისანი, სამგორი, გლდანი, ნაძალადევი:** ჯავახიშვილის 60, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

**დიდუბე, ჩუღურეთი, მთაწმინდა, კრწანისი:** ტოვსტონოგოვის 2, თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი;

სერტიფიკატების გაცემა იწარმოებს 10:00-დან 18:00 საათამდე.

იხილეთ A6-A15 გვერდები

# "მემარჯვენე ოპოზიცია" ახალი მოთხოვნით გამოდის

გიორგი ასანიშვილი

*"მემარჯვენე ოპოზიცია" ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს. "პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მწვავდება. ამგვარ სიტუაციაში რევოლუციური კატაკლიზმების თავიდან ასაცილებლად და ქართული სახელმწიფოს იდეის გადასარჩენად ერთადერთი ლიგიტიმური, კონსტიტუციური გზა არის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება," - ნათქვამია ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.*

ქვეყანაში არსებული "პოლიტიკური კრიზისის" დამადასტურებელ ნიშნებზე საუბრისას, ფრაქციის ლიდერი დავით გამყრელიძეს სამივე სახელისუფლებო შტოში შექმნილ

გაგრძელება A2 გვერდზე



*ფიქრია ჩიხრაძეს უმრავლესობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერის იმედიც აქვს.*

# ვადამდელი არჩევნები - "მემარჯვენეების" აუხდენელი ოცნება

სოფო ბუკია

"მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის ახალმა ინიციატივამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ, რომელიც **"ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისისა და რევოლუციური ეიფორიის"** დასაძლევად იყო მოწოდებული, ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ მოახერხა - კიდევ უფრო მეტად გაამხიარულა, გამყრელიძის აზრით, ისედაც "დალხენილი" საპარლამენტო უმრავლესობა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია გამყრელიძის ინიციატივამ ხუმრობის გუნებაზე დააყენა. **"ჩვენი საპასუხო წინადადება ასეთი იქნება: მოვითხოვთ საპრეზიდენტო არჩევნებს + 15-პროცენტიანი ფორა დავით გამყრელიძეს,"** - ეს ერთ-ერთი მისი გუშინდელი ხუმრობათაგანია. ბოკერიამ ჟურნალისტებსაც ურჩია, მეტი იუმორით მოეკიდონ ოპოზიციის განცხადებებს და ყველაფერს "ასე გულთან ახლოს ნუ მიიტანენ."

უფრო სერიოზული კომენტარი დავით გამყრელიძის ინიციატივას უმრავლესობის არც სხვა წარმომადგენლებმა აღირსეს. მაგალითად, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა თქვა, რომ მას "ცუდი სიზმრების ახსნა" არ ეხერხება.

"მემარჯვენეების" იდეის წარმატების ნაკლებად სჯერათ სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსაც.

ოპოზიცია "მემარჯვენეების" იდეას იზიარებს, მაგრამ მისი ხორცშესხმის ნაკლებად სჯერა. როგორც "24 საათთან" საუბარში "კონსერვატორმა" კახა კუკავამ აღნიშნა, "მემარჯვენეების" იდეა, მართალია, მისასალმებელია, მაგრამ იურიდიულად გაუმართავია და, შესაძლოა, კონსტიტუციური მექანიზმების გამო, "პროდუქტიული არ აღმოჩნდეს."

გაგრძელება A2 გვერდზე

## მოკლედ

### რუსეთის საგარეო უწყების განცხადება სრულიად უსაფუძვლოა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებას "სრულიად უსაფუძვლოს და უპასუხისმგებლოს" უწოდებს.

ცნობილია, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სამხედრო ხარჯების გაზრდისა და ჩეხეთის მიერ საბრძოლო მასალის გადმოცემის გამო შეშფოთება გამოთქვა.

"ამგვარი კომენტარები, უპირველეს ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს. ცნობილია, რომ აშშ-ს დახმარებით საქართველოში ხორციელდება "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციის პროგრამა", რომელიც ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების იმ ქვედანაყოფების მომზადებას, რომლებიც სამშვიდობო კონტინგენტის სახით მონაწილეობას მიიღებენ ერაყში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში.

სწორედ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ქვედანაყოფების წვრთნებისათვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილს გადმოსცემს ჩეხეთის მხარე საქართველოს. ამავე დროს, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია, ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, ისევე როგორც ქვეყნის დემოკრატიულ აღმშენებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა, საქართველოს სუვერენული უფლებაა და ეს პროცესი გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ეს რომელიმე სხვა მხარეს. რაც შეეხება კომენტარში გამოთქმულ "შეშფოთებას" კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით და იარაღის ტერორისტების ხელში მოხვედრის შესაძლებლობის შესახებ, უნდა ითქვას, რომ სწორედ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული სეპარატისტული რეჟიმების მილიტარიზაციის ზრდასა და ამ პროცესის საშიშროებაზე საქართველოს მხარე მუდმივად ამახვილებს მსოფლიო საზოგადოების, მათ შორის, რუსეთის ყურადღებას. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გადამდგარი და საკადრო მაღალჩინოსნები ხელმძღვანელობენ და წვრთნიან საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებული სეპარატისტული ხელისუფლების "შეიარაღებულ ძალებს," - ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

სამინისტროში იმასაც აღნიშნავენ, რომ სწორედ ტერორიზმთან, იარაღით უკანონო ვაჭრობასთან, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლაში ურთიერთქმედების გაძლიერების მიზნით, საქართველომ არაერთხელ შესთავაზა რუსეთის მხარეს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთების ერთობლივი კონტროლი. ამ მიზნებს ემსახურებოდა ეუთო-ს ეგიდით მიმდინარე საზღვრის მონიტორინგის ოპერაციაც. რომელიც, სამწუხაროდ, რუსეთის მხარემ დაბლოკა; სანაცვლოდ კი, ადგილი აქვს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის სრულიად უსაფუძვლო და უპასუხისმგებლო განცხადებებს, რაც უდავოდ ხელს არ უწყობს ბოლო პერიოდში ორი ქვეყნის ურთიერთობაში გამოკვეთილი დადებითი ტენდენციების განვითარებას. **მედიანიუსი**

### ქართულმა და ოსურმა მხარეებმა სარეაბილიტაციო პროგრამების მიმდინარეობაზე იმსჯელეს

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკიმ ცხინვალში, ოსური მხარის საგანგებო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ლეონიდ თიბილოვთან მოლაპარაკებები გამართა.

შეხვედრაზე კონფლიქტის ზონის მოსახლეობისთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარების საკითხები განიხილეს.

"ეს იყო საორგანიზაციო კომიტეტის შეხვედრა, რომლის ფუნქციაა სარეაბილიტაციო პროგრამების მიმდინარეობის განხილვა. ამჟამად განვიხილავთ მესამე პროგრამის მიმდინარეობას. არსებობს სერიოზული წინადადებები, რომ მომავალი წლიდან დონორების რაოდენობა გავზარდოთ და მოსახლეობის ინტერესები სრულად დავაკმაყოფილოთ. ეს ეხება როგორც სოციალურ, ისე მცირე ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებს. მომავალი წლისთვის საკმაოდ ვრცელი პროგრამა მზადდება," - აცხადებს გიორგი ვოლსკი. **მედიანიუსი**

### პაატა ზაქარეიშვილი: ნოღაიდელი-კოკოითის შეხვედრა პრეზიდენტის ინიციატივის განხილვას სათავეს დაუდებს

კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელისა და "სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მოსალოდნელ შეხვედრას მიესალმება.

ცნობილია, რომ ნოღაიდელის და კოკოითის შეხვედრა სექტემბერის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

"როცა ჟვანია-კოკოითის შეხვედრა შედგა, ამან ქართულ-ოსური მხარეების ურთიერთობების ლეგიტიმაცია განაპირობა. გარდა ამისა, შარშანდელი ძალისმიერი მეთოდები შეწყდა. ამ შეხვედრის შემდეგ დიდი დრო გავიდა და კარგი იქნება, თუკი ქართული მხარე ოსებს იმ წინადადებებს გადასცემს, რომლებიც იანვარში პრეზიდენტმა სააკაშვილმა სტრასბურგის ტრიბუნიდან გაახმიანა. დღემდე ეს დოკუმენტი საქართველოს ხელისუფლებას ოსური მხარისთვის არ გადაუცია," - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, ოსები გაურკვეველ მდგომარეობაში არიან, რადგან იანვარში სააკაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი პრეზიდენტის ვებ-გვერდზე შეცვლილი, თუმცა უკეთესი სახით გამოქვეყნდა, მოგვიანებით კი გამოიცა ამ პროექტის ამსახველი ბროშურა, რომელიც კიდევ უფრო დახვეწილი იყო.

"ამდენად, ოსებმა არ იციან, თუ რომელ პროექტს სთავაზობს მათ ქართული მხარე. ვფიქრობ, ნოღაიდელი-კოკოითის შეხვედრა პროექტის განხილვას სათავეს დაუდებს. ჩვენ ოსური მხარე კონცეფციათა განხილვის თანამონაწილეებად აუცილებლად უნდა ვაქციოთ," - აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი. **მედიანიუსი**

### ქართული მხარე ცხინვალის რეგიონში ქართველ სამშვიდობოთა რაოდენობას ზრდის

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის რაოდენობა 90 ჯარისკაციდან 230-მდე გაიზარდა.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში აცხადებენ, რომ ქართველი სამშვიდობოების რაოდენობის ზრდა კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვას არ უკავშირდება.

ქართული ბატალიონის სარდლის მამუკა ყურაშვილის განცხადებით, შერეულ სამშვიდობო ძალებში რუსული, ოსური და ქართული მხარეებისთვის 500-500-კაციანი კვოტაა გათვალისწინებული. ამდენად, ქართული მხარე თავის კვოტას ავსებს. **მედიანიუსი**

### აფხაზეთის პარლამენტში რუსი იურისტების მიერ დაწერილ კანონპროექტებს იხილავენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის საპარლამენტთაშორისო და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა "საქართველოს მიერ აფხაზეთის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და ომის იურიდიული შეფასებისა" და "1992-1993 წლებში აფხაზეთიდან გასულ პირთა სტატუსის შესახებ" კანონპროექტების განხილვა დაიწყო.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის აპარატის ცნობით, კომიტეტი უახლოეს მომავალში განიხილავს კანონპროექტებს "1918-1921 წლებში საქართველოს მიერ აფხაზეთის ანექსიის სამართლებრივი შეფასების," "დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ" და "აფხაზეთში უცხო ქვეყნების მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ".

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, აფხაზ პარლამენტარებს კანონპროექტების შემუშავებაში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერ სერგეი ბაბურინის მიერ მოსკოვიდან მივლინებული 15 იურისტი დაეხმარა. ჯგუფმა კანონპროექტებზე მუშაობა 2005 წლის მარტში დაიწყო.

იმავე წყაროს ინფორმაციით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მაღალკვალიფიციურ იურისტთა ჯგუფმა ზაფხული აფხაზეთში, ერთ-ერთ სამთავრობო აგარაკზე გაატარა, პოლიტიკური მნიშვნელობის კანონპროექტებზე მუშაობა კარგა ხნის წინ დაასრულა და აფხაზ პარლამენტარებს გადასცა. **ინტერპრესნიუსი**

# "ამორალური ანექსია"

პირველი გვერდიდან

**"ორი წელია, რაც ხელისუფლებაში მოვედი და წარმატებას თითქმის ყველა სფეროში მივაღწიეთ. საქართველო ეკონომიკური ზრდისა და რეფორმების განხორციელებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა,"** - ასე აფასებს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარ მოღვაწეობას, თუმცა, იძულებული ხდება აღნიშნოს, რომ ქვეყნის ეფექტური განვითარებისთვის ეს არ კმარა. მიზეზი კი არსებული "შავი ხვრელებია". კერძოდ, უნდა აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა, მით უმეტეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საქართველო გაცილებით ძლიერი, ეფექტური და ქმედითუნარიანი სჭირდება.

მიმართავს რა მსოფლიოს პოლიტიკურ ელიტას, პრეზიდენტი აფხაზეთში ამჟამად არსებულ ვითარებას "ამორალურ ანექსიას" უწოდებს. აფხაზეთის ტერიტორია ტრეფიკინგის, კრიმინალისა და არასტაბილურობის კერაა, რასაც, მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოება არ უნდა შეეგუოს.

**"აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეთნიკური წმენდა განხორციელდა. ასობით ათასი დევნილი სახლებიდან გამოყარეს. ამ სახლებს კი მეზობელი ქვეყნის ჩინოვნიკები უკანონოდ ეპატრონებიან და ეს მთელი მსოფლიოს, გაერო-სა და საერთაშორისო ორგანიზაციების თვალწინ ხდება. საერთაშორისო საზოგადოება ამას არ უნდა შეეგუოს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კი აფხაზეთის ბინძური ანექსია უნდა აღიაროს,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი და უყურადღებოდ არც იმ სამშვიდობო ინიციატივებს ტოვებს, რომელიც საქართველოს მთავრობამ კონფლიქტურ ზონებში მცხოვრებლებს შესთავაზა და რომელიც "ყველა ეროვნული უმცირესობის უფლებებს მტკიცედ იცავს".

იგი მსოფლიო ლიდერებს არწმუნებს, რომ საქართველომ უცვლელად აიღო კურსი თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ და აქვს უდიდესი პოტენციალი. თუმცა, სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის საერთაშორისო დახმარება სჭირდება, **"რადგანაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი მარტო საქართველოს პრობლემა არ არის".**

გაერო-ს ტრიბუნაზე სიტყვით გამოსვლას კი მიხეილ სააკაშვილი მისთვის ჩვეული ოპტიმიზმით ასრულებს: **"მსოფლიო მშვიდობის პრინციპის გარშემო უნდა გაერთიანდეს. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რადგანაც მსოფლიოში თავისუფლება ფართოვდება. ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს და ამის ნაწილი ვართ ჩვენც,"** - ამბობს იგი.

გენერალური ასამბლეის სხდომაში მონაწილეობამდე საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით კოლუმბიის უნივერსიტეტში გამოვიდა.

**"როცა აქ, კოლუმბიის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, საქართველოს შესახებ არავინ არაფერი იცოდა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი ჩემი სამშობლო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქვეყანა გახდა",** - ამაყობდა მის მიერვე დამთავრებული უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე მიხეილ სააკაშვილი.

მან მსმენელებს ლექცია წაუკითხა სახელწოდებით "ხელისუფლებაში მოსვლა მშვიდობიანი გზით - 2000-2004 წლების პოსტკომუნისტური რევოლუციების გამოძახილი" და ძირითადად საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებზე ისაუბრა. **"ხშირად მეკითხებიან, სად შეიძლება მოხდეს შემდეგი რევოლუცია - შუა აზიაში, აფრიკაში თუ რომელიმე სხვა ადგილას. ამაზე პასუხი არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ დიქტატურას მომავალი არ აქვს და ახლო მომავალში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში განხორციელდება დემოკრატიული რეფორმები,"** - აღნიშნა მან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნიუ-იორკში თავის ირანელ კოლეგას მაჰმუდ აჰმადინეჯადსაც შეხვდება. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი საქართველოში ირანის საინვესტიციო შესაძლებლობებს განიხილავენ.

მიხეილ სააკაშვილი სამშობლოში დღეს დაბრუნდება. საქართველო კი შედეგების მოლოდინშია.

# თბილისი მახინჯი ბილბორდების გარეშე

იმისთვის, რომ **"არ დაუშვან დედაქალაქში მცხოვრებთა უფლებების შელახვა",** ქალაქის ახლადგაერთიანებულმა ზედამხედველობის სამსახურმა თბილისის იერსახის მოწესრიგება ბილბორდების მოჭრით დაიწყო. ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი ლაშა მაქაცარია პირველ სამუშაო დღეს ნუცუბიძის ქუჩაზე იმყოფებოდა. მისი განცხადებით, მას მოლაპარაკებები ჰქონდა სარეკლამო კომპანიების "ალმა პლუსი"-სა და "იმპერიალი"-ს წარმომადგენლებთან, და ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ისინი დედაქალაქში ყველა მოუწესრიგებელ ბილბორდს იერსახეს შეუცვლიან.

**"დადგება იმ უნებართვო ბილბორდების დემონტაჟის საკითხი, რომელიც დედაქალაქის იერსახეს ამახინჯებს,"** - აღნიშნა ლაშა მაქაცარიამ, რომელიც დაგვპირდა, რომ ერთი კვირის განმავლობაში დედაქალაქში არც ერთი უსახური და უნებართვო ბილბორდი არ იქნება. ამ დროის განმავლობაში შეჯამდება, თუ რამდენი ბილბორდია მოსაწესრიგებელი. ასევე დაიწყება იმ ბილბორდების დემონტაჟი, რომელიც არ შეესაბამება მოწესრიგებას, ხოლო მოსაწესრიგებელ ბილბორდებზე სარეკლამო კომპანიები იზრუნებენ.

ნუცუბიძის ქუჩის შემდეგ, ქალაქის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე უსახური ბილბორდები მოჭრა, ხოლო ელბაქიძის დაღმართზე მათი მოწესრიგება დაიწყო. იგი გეგმავს, რომ გაფრთხილება მისცეს ბილბორდების იმ მეპატრონეებს, რომელთა მფლობელობაში არსებული სარეკლამო აბრები ვიზუალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მაქაცარია აცხადებს, რომ ადმინისტრაციული ინსპექციის ყოფილი სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ მრავალი დარღვევა იყო დაშვებული. ამის თაობაზე მოკვლეულ მასალებს მერია სამართალდამცავებს გადასცემს.

ცნობისთვის, თბილისის მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური ახლახან შეიქმნა, სადაც გაერთიანებულია ადმინისტრაციული ზედამხედველობის, სანიტარული, გარემოს დაცვისა და არქიტექტურული მშენებლობის სამსახურები.

**24 საათი**



*ბილბორდების დემონტაჟი.*

# "მემარჯვენე ოპოზიცია" ახალი მოთხოვნით გამოდის

პირველი გვერდიდან

სიტუაციას ახასიათებს. **"მთელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელშია კონცენტრირებული, სასამართლომ საბოლოოდ დაკარგა დამოუკიდებლობა, პარლამენტი კი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს და დეპუტატის მანდატის მქონე ადამიანთა უფუნქციო თავყრილობას წარმოადგენს,"** - აღნიშნა გამყრელიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე, რომლის მიმდინარეობის დროსაც ზემოთ დასახელებულ მოთხოვნას ფრაქციის ყველა წევრმა მოაწერა ხელი.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების იდეა სრულად შეესაბამება "რევოლუციური ეიფორიიდან გამოსული საზოგადოების განწყობას."

**"ვაპირებთ იმაზე მეტი ხელმოწერის შეგროვებას, რამდენი ხმაც მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მიიღო. ჩვენს მოთხოვნას, სულ ცოტა, 1,9-2 მილიონი მხარდამჭერი ეყოლება,"** - აცხადებს დავით გამყრელიძე. მისივე თქმით, თავისი გუნდის ახალი ინიციატივის შესახებ მან უკვე საქმის კურსში ჩააყენა რესპუბლიკური, კონსერვატორული და ლეიბორისტული პარტიების ხელმძღვანელობა. თუმცა, გამყრელიძე არაფერს ამბობს იმაზე, მოიწონეს თუ არა მათ ვადამდელი არჩევნების ჩატარების იდეა.

**"ბოკერია სულ იმას იძახის, "მემარჯვენეებს" რეიტინგი არა აქვთო. მზად ვართ, ვადამდელი არჩევნების შემდეგ პარლამენტის გარეთ დავრჩეთ, თუ საზოგადოება ასე ჩათვლის საჭიროდ,"** - რისკზე წასასვლელად მზად არის ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარე, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია საარჩევნო ბარიერის 7-დან 4-5 პროცენტამდე დაწევა. თავის მხრივ, "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე შენიშნავს, რომ თუ 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში მისი თანაგუნდელები გაიმარჯვებენ, ფრაქციის მიერ გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებას ისინიც შეუერთდებიან.

დავით გამყრელიძე, აგრეთვე, აზუსტებს: ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ "მემარჯვენეები" ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტში საქმიანობას შეწყვეტენ. პირიქით, მათ გადაწყვეტილი აქვთ, ვიდრე დღევანდელი პარლამენტი ფუნქციონირებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მის პლენარულ სხდომებში, საკომიტეტო მოსმენებსა თუ დროებითი საგამოძიებო კომისიების მუშაობაში.

"მემარჯვენეთა" განცხადებით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნა მთლიანად ჯდება კონსტიტუციურ ჩარჩოებში და ამ გზას ცივილიზებულ ქვეყნებში ხშირად მიმართავენ. თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ დავით გამყრელიძე გერმანიისა და იაპონიის მაგალითებს იშველიებს.

# ვადამდელი არჩევნები - "მემარჯვენეების" აუხდენელი ოცნება

პირველი გვერდიდან

**"ვეთანხმები "მემარჯვენეებს" იმაში, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია და პარლამენტი ხალხის ნებას არ გამოხატავს, მაგრამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების უპირობო მოთხოვნა მიზანშეწონილი არ არის, რადგან საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნა პრეზიდენტს კონსტიტუციით მაშინ შეუძლია, როდესაც ეს უკანასკნელი მთავრობას ან ბიუჯეტს არ დაამტკიცებს..."** - აღნიშნა კუკავამ.

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ქვეყანას არსებული პოლიტიკური კრიზისიდან მართლაც იხსნიდა. **"დღევანდელ პარლამენტში ძალიან გაძნელებულია დიალოგი. საპარლამენტო უმრავლესობას პრობლემები მარტო ოპოზიციასთან როდი აქვს. ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ ხელისუფლებისა და საზოგადოების პოზიციაც მთელ რიგ საკითხებში დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისგან... ეს დისბალანსი სახიფათოა ქვეყნის მყარი, დემოკრატიული განვითარებისთვის,"** - აღნიშნავს ბერძენიშვილი. მიუხედავად ამისა, "რესპუბლიკელები" მიიჩნევენ, რომ **"სააკაშვილი ვერ არის გერმანიის კანცლერი შრიოდერი",** რომელმაც საკუთარ საპარლამენტო უმრავლესობას მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება სთხოვა. - **"ცხადია, "მემარჯვენეების" ინიციატივა რეალური არ არის, თუმცა კარგი იდეაა. რაც შეეხება "რესპუბლიკურ პარტიას", ჩვენი მთავარი ორიენტირი დღეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ამ ეტაპზე ჩვენ შევეცდებით, ამ გზით დავანახოთ ხელისუფლებას, რომ მისი რეიტინგი მოსახლეობაში ძალიან დაბალია,"** - განაცხადა დავით ბერძენიშვილმა "24 საათთან" საუბრისას.

# უპირობო მოთხოვნა

*გუშინ ვატიკანის საელჩოსთან შეიკრიბნენ რამდენიმე მართლმადიდებელი ტაძრის მრევლი და სასულიერო პირები. ისინი მოითხოვენ, უპირობოდ შეწყდეს სკოლებში პროგრამის - "ვაშენოთ მომავალი" - განხორციელება. აქციის მონაწილენი მიიჩნევენ, რომ პროგრამა, რომლის სულის ჩამდგმელია "კათოლიკური დახმარების სამსახური", (CRS) ანტიმართლმადიდებლურია და მომავალი თაობის არაეროვნული, კოსმოპოლიტური და პროკათოლიკური ცნობიერებით აღზრდას ემსახურება.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ამ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც აქციის მონაწილეთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, 24 აგვისტოს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II შეხვდნენ რომის კათოლიკური ეკლესიის კარდინალი, ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი, რომის საყდრის დესპანი საქართველოში და "კათოლიკური დახმარების სამსახურის" წარმომადგენლები. როგორც ითქვა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას დაუშვებლად მიაჩნია, რომ იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელია, რომის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია საერო სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამას საქართველოს საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად ახორციელებდეს. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ აღნიშნული პროგრამა შეჩერდებოდა.

ამის შესახებ ინფორმაცია პრესაში მაშინვე გავრცელდა, მაგრამ, როგორც აქციის მონაწილენი აცხადებენ, არაფერი შეჩერებულა და პროგრამის პიარკამპანია მასმედიის საშუალებით დღემდე ხორციელდება.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის სპიკერი ევსტათი აბრამიშვილი:

**"პროგრამა "ვაშენოთ მომავალი", რომელსაც "კათოლიკური დახმარების სამსახური" (CRS) ახორციელებს, გულისხმობს საშუალო სკოლებში შესვლას, კლუბების ჩამოყალიბებას, საზაფხულო ბანაკების გამართვას. ეს ეწინააღმდეგება კანონს განათლების შესახებ, რომლის თანახმად, რელიგიურ ორგანიზაციებს სკოლებში შესვლის უფლება არა აქვთ. რამდენად რელიგიური ორგანიზაციაა "კათოლიკური დახმარების სამსახური", იქიდანაც ჩანს, რომ იგი დაარსებულია კათოლიკე-პაპისტების მაღალი იერარქიის მიერ 1943 წელს და მას დღესაც კათოლიკე-პაპისტები მართავენ.**

**ალსანიშნავია, რომ "კათოლიკური დახმარების სამსახურმა" ამ პროგრამის განხორციელება შარშან დაიწყო, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ განაცხადა (ესეც მათი "გამჭვირვალობის" მაგალითია). ისინი საქართველოს მასშტაბით 203 სკოლაში შესვლას აპირებენ, მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში ასეთი კლუბი მხოლოდ 107 სკოლაში ჩამოაყალიბეს. აქედან ჩანს, თუ როგორი აგრესიულობით მიადგნენ ისინი საქართველოში სკოლებს.**

**დღევანდელი აქცია მიზნად ისახავს პროგრამის უპირობოდ შეჩერებას. საზოგადოება შეცდომაშია შეყვანილი, თითქოს პროგრამა შეჩერებულია. სინამდვილეში იგი კვლავაც ხორციელდება. გაზეთებში მიმდინარეობს ძლიერი პიარკამპანია. შერჩეულია 20 პილოტური სკოლა, საიდანაც პროგრამა ყველგან უნდა გავრცელდეს და, ჯამში, 13 ათასი მოსწავლე მოიცვას. ამ პროგრამისათვის გამოყოფილია 5.5 მილიონი აშშ დოლარი (4.8 მილიონი გამოყო აშშ-ს განვითარების სააგენტომ, ხოლო 700 ათასი - კათოლიკური განვითარების სამსახურმა)".**

აქცია სამდღიანი იქნება და, როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, საჭიროების შემთხვევაში უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს.

# როგორ შევაკეთოთ მანქანა გაუჩერებლად

*საქართველოს მთავრობამ 2005 წლიდან დაიწყო მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რაც, უპირველეს ყოვლისა, 2005 წლის სექტემბრიდან ხელფასების ზრდაში გამოიხატება. მაგრამ არსებული არასამართლიანი და სუბიექტური სისტემის პირობებში ფინანსური ჩარევა შეიძლება უსარგებლო აღმოჩნდეს: დღეს საქართველოს განათლების სისტემას არ გააჩნია მასწავლებელთა კვალიფიკაციის და შრომის გაზომვის სანდო და ობიექტური მეთოდები, რაზეც ის ქვეყანაში დაგეგმილ სასკოლო განათლების რეფორმას დააყრდნობს.*

დალი კუპრავა

საქართველოში 2005 წელს ზოგადი განათლების კანონის მიღებამდე მოქმედებდა საბჭოთა სტანდარტები -არამარტო მასწავლებელთა მომზადების და განვითარების

მხრივ, არამედ მათი შრომის ანაზღაურების და ზოგადი განათლების დაფინანსების მხრივაც. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი მასწავლებელთა ანაზღაურების დიფერენციაციისათვის - ჩაატარა ტესტირება კარგი მასწავლებლების გამოსავლენად და შემოიღო კატეგორიები, პროცესის არასწორად დაგეგმვის გამო, ამან კიდევ უფრო განამტკიცა მასწავლებელთა მუშაობისა და ანაზღაურების სისტემაში არსებული უთანასწორობა და ქაოტურობა.

2001 წლიდან მსოფლიო ბანკის სესხით დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში სახელმწიფომ დაიწყო გეგმაზომიერი ჩარევა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში, თუმცა დროისა და რესურსების სიმცირის გამო, დღემდე მასწავლებელთა მხოლოდ მცირე ნაწილის გადამზადება მოესწრო.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა "მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების კონცეფცია", რომელიც საფუძვლად დაედება კანონს "პედაგოგიური საქმიანობის შესახებ" და დაარეგულირებს მასწავლებელთა პროფესიულ საქმიანობას. ეს კონცეფცია, ორი თვეა, განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე და დაინტერესებულ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, გაცნობოდა დოკუმენტს და შენიშვნები სამინისტროსთვის მიეწოდებინა.

გუშინ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში კონცეფცია პედაგოგიურ საზოგადოებას წარუდგინეს.

მასწავლებელთა პროფესიული მომზადების და განვითარების კონცეფცია მიზნად ისახავს მასწავლებელთა პროფესიული მომზადების და განვითარების და მასწავლებლობის მინიჭების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას; მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების სამართლიანი და წამახალისებელი სისტემის დამკვიდრებას; ყოველი კონკრეტული მასწავლებლის შრომის სტაბილურობის საკანონმდებლო გარანტიების შექმნას.

კონცეფციის შესაბამისად, 2013 წლამდე მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება და სოციალური დაცვა მოხდება ორი ფორმულით - ერთი, რომელიც დღეს არსებობს, მეორე, რომლის მოქმედებაც 2008 წლიდან დაიწყება და გაითვალისწინებს გამოცდების შედეგებს და მასწავლებლების მიერ გავლილ მოსამზადებელ და გადასამზადებელ პროგრამებს. 2013 წლიდან ამოქმედდება მასწავლებელთა ანაზღაურების და შრომითი დაცვის ის სისტემა, რომელიც ამ კონცეფციაშია აღწერილი.

როგორც ამბობენ, განათლების რეფორმა ეტაპობრივი და თანმიმდევრობითი პროცესია - დროს მოითხოვს. დღეს კი ეს პროცესი იმას ჰგავს, მანქანა რომ შესაკეთებელია, მაგრამ ვერ გააჩერებ და გზადაგზა, შეუჩერებლად უნდა შეაკეთო.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პროკურორის ასაკი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გუშინ განიხილა გენერალურ პროკურატურაში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც, უნდა გაუქმდეს საოლქო, ქალაქის და რაიონის პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნისთვის სავალდებულო ხუთწლიანი სტაჟი. კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი ასეთი სტაჟის აუცილებლობას ვერ ხედავს.

**"თუ რომელიმე პირს აქვს იურიდიული განათლება, გაიარა თანამდებობაზე დანიშვნისთვის აუცილებელი ტესტირება, მაშინ მას ნდობა უნდა გამოვუცხადოთ და ზედმეტი ბარიერები მოვუხსნათ,"** - აცხადებს იგი.

ლევან ბეჟაშვილის თქმით, გენერალურ პროკურატურაში მრავლად არიან ისეთი ადამიანები, ვისაც ჩაბარებული აქვს გამოცდები, ფლობს რამდენიმე პროფესიას (იურისტის, ეკონომისტის და სხვა), გააჩნია სამ-ოთხწლიანი სტაჟი, მაგრამ მათი დაწინაურება და წახალისება ვერ ხერხდება. კომიტეტის თავმჯდომარის მტკიცებით, საკანონმდებლო ცვლილება გენერალურ პროკურორს კადრებით ლავირებისა და პროკურატურაში "ახალი სახეების" წარმოჩინების საშუალებას მისცემს.

თუმცა, დეპუტატების ნაწილი წარმოდგენილ კანონპროექტს არ ეთანხმება. მათ შორის არიან საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც. მაგალითად, ნაზი არონიას დაუშვებლად მიაჩნია, რომ ქალაქის ან რაიონის პროკურორად რამდენიმეწლიანი გამოცდილების არმქონე პიროვნება დაინიშნოს.

**"პირდაპირ უნივერსიტეტიდან მოსული პროკურორი ვერ გაამართლებს. 24-25 წლის ადამიანებისთვის მაღალი პასუხისმგებლობის დაკისრებით მართლმსაჯულების მაღალ დონეს ვერ მივაღწევთ,"** - ამტკიცებს არონია, რომელსაც თავისი ნათქვამის გასამაგრებლად ასეთი მაგალითი მოყავს: **"როდესაც მოსამართლედ დამნიშნეს, მცირეოდენი პრაქტიკა გამაჩნდა, ხუთი წლის შემდეგ კი ჩემს მიერ თავდაპირველად გამოტანილი განაჩენები უკვე აღარ მომწონდა."**

მოიწონებს თუ არა პარლამენტი გენერალურ პროკურატურაში შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილების პროექტს, სავარაუდოდ, დღევანდელ პლენარულ სხდომაზე გაირკვევა. დღესვე პარლამენტი კენჭს უყრის უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლისთვის უფლებამოსილების ვადამდელ შეწყვეტას. ამის საფუძველია იური ტაბუცაძის, გიორგი ქოიავას, ლოტბარ კუპატაძის და ლენვერ ბოჭორიშვილის პირადი განცხადებები, რომლითაც მათ საქართველოს პრეზიდენტს მიმართეს.

ოპოზიციონერი დეპუტატები ცდილობენ, ამაში მოსამართლეებზე ზეწოლა დაინახონ, მაგრამ ლევან ბეჟაშვილის თქმით, საქმე გაცილებით მარტივადაა: უზენაესი სასამართლოს რეორგანიზაციის შემდეგ გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელშიც ზემოთ დასახელებული ოთხეული მუშაობდა. ამ პირებმა კი სხვა სტრუქტურაში მუშაობა არ ისურვეს. **24 საათი**

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აჭარას ეწვია, სადაც ქაქუთის ხიდის პრეზენტაციას დაესწრო. ეს სწორედ ის ხიდია, რომელიც ასლან აბაშიძის დავალებით, ჩოლოქის ხიდთან ერთად ააფეთქეს. აჭარა-გურიის დამაკავშირებელი ქაქუთის ხიდის სიგრძე 22 მეტრია, სიგანე კი - 8 მეტრი. რკინაბეტონის კონსტრუქციის ხიდის მშენებლობას სამი თვე დასჭირდა და იგი მთლიანად ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ხიდის აღდგენაზე დახარჯული თანხის ოდენობა არ სახელდება. ხიდის პრეზენტაციას ასევე აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე, ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კობა ხაბაზიც ესწრებოდნენ. გუშინვე, პრემიერმა ქობულეთის კიდევ ორი სოფელი - ოჩხამური და ლეღვა მოინახულა. დღეს ნოღაიდელი შუახევის რაიონში გაემგზავრება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების რეფორმირების პროექტის პარლამენტში გატანისას პროექტის ავტორს, სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძეს პრობლემები შეექმნება. ამის შესახებ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა კილაძემ განაცხადა. მისი განმარტებით, ეკონომიკური პროფილის საპარლამენტო კომიტეტები მარეგულირებელი კომისიების საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადაყვანას მხარს არ დაუჭერენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, ფინანსთა სამინისტროში სტაჟირების გავლის მსურველთა განცხადებების მიღება დასრულდა. ფინანსთა სამინისტროში, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტებში, დაახლოებით, 3000-მდე განაცხადი შევიდა. პროფესიული დონის ამაღლების სურვილი გამოთქვეს როგორც ეკონომიკური, ისე იურიდიული და ტექნიკური განათლების მქონე პირებმა. სტაჟირების მსურველები, კონკურსის პირველ ეტაპზე, 22 სექტემბერს ზოგადი უნარ-ჩვევების ცოდნაში შეფასდებიან. მისი წარმატებით ჩაბარების შემდეგ, კონკურსანტები, საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობის, საბიუჯეტო პროცედურებისა და სხვა შესაბამისი თეორიული ცოდნის გამოსავლენად გასაუბრებას გაივლიან. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგად შერჩეული კონკურსანტები სტაჟირებას ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფებში გაივლიან. კურსის დასრულების შემდეგ კი სტაჟიორს სპეციალური სერთიფიკატი გადაეცემა. **ინტერპრესნიუსი**

# ახალი აეროპორტი საათში 2000 მგზავრს მოემსახურება

### თბილისის აეროპორტის მშენებლობა ერთ თვეში დაიწყება

მარიამ ჭაჭვაძე

*ასეთი აეროპორტი თბილისს ზუსტად ერთ წელიწადში ექნება, მშენებლობა კი ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყება. მანამდე ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ახალი აეროპორტის მაკეტის პრეზენტაციას აწყობს. მინისტრის თქმით, მან საზოგადოებას მაკეტი იმაზე ადრე უჩვენა, ვიდრე ეს თურქ პარტნიორებთან იყო შეთანხმებული.*



*ასეთი იქნება თბილისის აეროპორტი გაისად.*

ამ ერთგვარი იძულების მიზეზად ირაკლი ჩოგოვაძე მედიაში ატეხილ აჟიოტაჟსა და "არასერიოზული" ადამიანების მხრიდან გაკეთებულ "არასერიოზულ" განცხადებებს ასახელებს. უფრო კონკრეტულად, ამ დღეებში სამინისტროს ოპონენტებისგან კეთდებოდა განცხადება იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ თურქულ კონსორციუმთან აეროპორტის მშენებლობაზე ხელი ისე მოაწერა, რომ თითქოსდა, ახალი აეროპორტის მაკეტი არ არსებობდა.

მოკლედ, ასეა თუ ისე, აეროპორტის მაკეტი მართლაც არსებობს, თუმცა კარგია თუ ცუდი, ეს სხვა საკითხია. როგორც მაკეტიდან ჩანს, თბილისის ახალ საერთაშორისო აეროპორტს მართკუთხედის ფორმა, ზემოდან კი ტალღოვანი ხედი ექნება. ის ძველი აეროპორტის მარჯვნივ აშენდება. ახალი აეროპორტი, რომლის ადმინისტრაციული შენობა 20 ათას კვადრატულ მეტრ ფართს დაიკავებს, ორსართულიანი იქნება. დღევანდელისგან განსხვავებით, მას სამი საერთაშორისო და ორიც შიდა გასასვლელი ექნება. რაც შეეხება ასაფრენ ზოლს, ის ერთი იქნება, რადგან როგორც ირაკლი ჩოგოვაძე ამბობს, - **"ჯერჯერობით ამაზე მეტის საჭიროება არ არსებობს და ღმერთმა ქნას, რომ მალე დაგვჭირდეს."**

თბილისის ახალი აეროპორტი საათში 2000 მგზავრს მოემსახურება, რაც წელიწადში დაახლოებით 2 მილიონ 500 ათას მგზავრს უდრის.

"ტავისა" და ურბანის" მიერ წარმოდგენილი მაკეტიდან ჩანს, რომ აეროპორტი, ძირითადად, მარტივი კონსტრუქციებისაგან იქნება აგებული და მშენებლები მასალად მეტალოპლასტმასისა და მინის გამოყენებას აპირებენ.

აეროპორტის დირექტორის ნიკოლოზ მანჯგალაძის თქმით, აეროპორტი ყველანაირად უსაფრთხო, ტექნოლოგიურად გამართული და ყველა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი იქნება. რაც შეეხება ძველ აეროპორტს, იგი, შესაძლოა, სასტუმრო ან საოფისე ფართად გადაკეთდეს.

თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობა, როგორც თურქულ კონსორციუმთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშია ნათქვამი, მომავალი წლის არაუგვიანეს ნოემბრის თვეში დასრულდება. თუმცა, მინისტრ ჩოგოვაძეს იმედი აქვს, რომ "ტავი" და "ურბანი" საქართველოს ხელისუფლებას ახალ აეროპორტს დათქმულ დროზე ადრე ჩააბარებენ. ამის იმედს მინისტრს თურქული კომპანიების გამოცდილება აძლევს. **"ტავი" არის ის კომპანია, რომელმაც ცნობილი, სტამბულის საერთაშორისო აეროპორტი ააშენა და რომლის მშენებლობა მან ვადაზე 18 თვით ადრე დაასრულა,"** - განაცხადა ჩოგოვაძემ.

მისივე ინფორმაციით, თურქების 30-კაციანი მუშა ჯგუფი ჩამოვა თბილისში და მუშაობას ორშაბათიდან შეუდგება.

"ტავისა" და ურბანის" კონსორციუმი, როგორც ცნობილია, ბათუმის აეროპორტის მშენებლობასაც საკუთარ თავზე იღებს. თუმცა, ამ ეტაპზე, ბათუმის აეროპორტის მაკეტი არ არსებობს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კონსორციუმმა ჯერ ვერ გადაწყვიტა, თუ სად ააშენოს ბათუმში ახალი აეროპორტი. ეკონომიკური განვითარების მინისტრი ამბობს, რომ დღევანდელ აეროპორტს აჭარაში ძალიან ცუდი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. **"ვფიქრობთ, რომ ბათუმის ახალი აეროპორტი სხვა ადგილას უნდა აშენდეს,"** - განაცხადა ირაკლი ჩოგოვაძემ, რომლის ინფორმაციით, "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმი ბათუმის აეროპორტის მშენებლობაზე 15 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადებას აპირებს.

ჟურნალისტების კითხვაზე - ახალ აეროპორტებში ჩადებული ინვესტიციები აისახება თუ არა ბილეთის ფასზე, თბილისის აეროპორტის დირექტორი ნიკოლოზ მანჯგალაძე არაპირდაპირ პასუხობს. მისი თქმით, ახალი აეროპორტის ამოქმედებასთან ერთად, სპეციალური, აეროპორტის მოსაკრებელი დაწესდება, რომელსაც მგზავრები ბილეთის ღირებულებასთან ერთად გადაიხდიან. რა თანხას შეადგენს ეს მოსაკრებელი, მანჯგალაძის თქმით, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, მისივე განმარტებით, მოსაკრებლის მაქსიმალური რაოდენობა მგზავრზე 25 დოლარს არ აღემატება. **"ამ საკითხზე თურქი ინვესტორები იმუშავებენ და მოსაკრებლის კონკრეტულ რაოდენობასაც ისინი დაადგენენ,"** - განაცხადა მანჯგალაძემ. როგორც მან აღნიშნა, მოსაკრებლის გადახდა მხოლოდ იმ მგზავრებს მოუწევთ, რომლებიც აეროპორტიდან გაემგზავრებიან, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება.

ცნობისათვის: თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოსაკრებელი ადრეც არსებობდა. ის იმ 12 მილიონდოლარიანი კრედიტის დასაფარად დაწესდა, რომელიც 1995-1996 წლებში ამჟამად მოქმედი აეროპორტის რეკონსტრუქციას მოხმარდა. ძველი მოსაკრებელი 18 დოლარს შეადგენდა და ის 2004 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედებდა.

შეგახსენებთ, რომ აეროპორტების მშენებლობაზე თურქულ კონსორციუმთან ხელშეკრულებას საქართველოს ხელისუფლებამ მიმდინარე წლის 6 სექტემბერს მოაწერა, რომლის თანახმადაც, "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი მართვის უფლებით 15 წლით გადაეცემა. მათ თბილისის აეროპორტში საკუთარ თავზე აიღეს 62 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება და დამატებით 18 მილიონი აშშ დოლარი - აეროპორტებში თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად.

# "საუკუნის პროექტს" კატასტროფულ შედეგებს უწინასწარმეტყველებენ

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა" ყურადღებას კვლავ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებულ პრობლემებზე ამახვილებს. ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების მოახლოებასთან დაკავშირებით, "მწვანე ალტერნატივის" წევრები დღეს სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავენ, სადაც მონაწილეობას აზერბაიჯანის, თურქეთისა და ევროპის იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიღებენ, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ნავთობსადენის პროექტის მონიტორინგს აწარმოებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნავთობსადენის მშენებლობა, ფაქტობრივად, დასრულებულია, არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავ აცხადებენ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით დასმული კითხვები კვლავაც ძალაში რჩება.

**"მშენებლობისას დაშვებული ტექნოლოგიური შეცდომები აუცილებლად იჩენენ თავს ნავთობსადენის ოპერირებისას, რაც კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანს. კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანში მილების შედუღების ადგილის საფარად შესაფუთი მასალის - SPC 2888-ის გამოყენება, ნავთობსადენის გასკდომის და ნავთობის დაღვრის შემთხვევაში, "ბრითიშ პეტროლიუმის" პოტენციური პასუხისმგებლობის საკითხს წარმოადგენს,"** - ნათქვამია "მწვანე ალტერნატივას" განცხადებაში. როგორც იქვე ვკითხულობთ, - **"2002 წლის ნოემბერში "ბრითიშ პეტროლიუმისთვის" მომზადებულ შიდა ანგარიშში კოროზიის ექსპერტი დერეკ მორტიმერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ SPC 2888-ის სპეციფიკაცია ნავთობსადენის დაცვისთვის აბსოლუტურად არ არის შესაფერისი. მოგვიანებით, მორტიმერის პროგნოზის შესაბამისად, SPC 2888-ით დაფარულ ნავთობსადენის მონაკვეთებს ნაპრალები გაუჩნდა."**

ორგანიზაციის ინფორმაციით, მსოფლიოში პოლიეთილენით დაფარულ არც ერთ ნავთობსადენზე SPC 2888-ის საფარი არ გამოყენებულა.

აღნიშნულის თაობაზე დიდი ბრიტანეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის აგვისტოში გამაფრთხილებელი წერილებით მიმართეს "ბრითიშ პეტროლიუმის" დირექტორებს და მოითხოვეს, რომ ნავთობის დაღვრის რისკის გამორიცხვის მიზნით, "ბრითიშ პეტროლიუმის" ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ მიიღოს გადამჭრელი ზომები და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ნავთობსადენი აზერბაიჯანსა და საქართველოში შესაფერისი საფარით ხელახლა შეფუთოს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ფაზა კი დასასრულს უახლოვდება. 12 ოქტომბერს საქართველოს მთავრობა და კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმი" ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის ნავთობით შევსებას საზეიმოდ აღნიშნავენ.

**24 საათი**

# "Invest in Georgia" ტოკიოში მიემგზავრება

21 სექტემბერს, იაპონიაში, ქალაქ ტოკიოში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და იაპონიის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის Jetro-ს ორგანიზებით, ქართული საინვესტიციო ფორუმი "Invest in Georgia" გაიმართება. ფორუმზე ერთმანეთს საქართველოსა და იაპონიის მთავრობის წევრები და ორი ქვეყნის ბიზნესწრეები, უმსხვილესი კომპანიებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები შეხვდებიან.

იაპონიაში ვიზიტს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, მისი მოადგილე თამარ კოვზირიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ღულუნიშვილი, ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე საბა კიკნაძე, საწარმოთა მართვის სააგენტოს უფროსი დავით ნატროშვილი და შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი გეგმავენ. გარდა ამისა, ფორუმზე წარმოდგენილი იქნებიან ისეთი კომპანიები, როგორიცაა: "ოფთალმიჯი", "საქნავთობი", "საქართველოს ტელეკომი", "Caucasus Trevel", "GREC", "TERO", "GPS", "Georgia event".

აღნიშნული ფორუმის მიზანი უცხოურ ბაზარზე საქართველოს ბიზნესგარემოს, ტურისტული პოტენციალისა და ტრადიციების წარმოჩენაა. ამისთვის, ტოკიოს საკონფერენციო დარბაზში დაიდგმება ბანერები, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართული კომპანიების ლოგოტიპები, სარეკლამო ბროშურები და ქართული ღვინოები.

22 სექტემბერს, ქალაქ ნაგოიაში საქართველოს ეროვნული დღე უნდა აღინიშნოს, სადაც მონაწილეობას ქართული ნაციონალური ბალეტი "სუხიშვილები" და ფოლკლორული ანსამბლი "რუსთავი" მიიღებენ.

24 სექტემბერს კი, ტოკიოში გამართულ მსოფლიო ტურისტულ გამოფენაზე საქართველო ტურისტული სტენდით წარდგება, რომელზეც საქართველოს საკურორტო ქალაქების, სოფლების და საქართველოს ულამაზესი ადგილების ფოტოები გამოიფინება. იაპონელებს ტოკიოსა და ნაგოიაში საქართველოს ცნობილი მზარეული ქართული ეროვნული კერძებით გაუმასპინძლდება. შეგახსენებთ, რომ ასეთი საინვესტიციო ფორუმები უკვე გაიმართა ლონდონში და რომში. ქართული დელეგაციის სტუმრობა იაპონიაში 20-დან 25 სექტემბრამდე გაგრძელდება.

**24 საათი**

# სანიკიძის მკვლელობაში ბრალდებულებს ავსტრიიდან საქართველოში ჩამოიყვანენ

*საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართებლივი ურთიერთობის სამმართველო რეგულარულად აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხო სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებთან სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულში მსჯავრდებულ საქართველოს მოქალაქეთა სამშობლოში გადმოყვანის მიზნით.*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართებლივი ურთიერთობის სამმართველოს მონაცემებით, მიმდინარე წელს წარმოებული მოლაპარაკების შედეგად სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად საქართველოში გადმოყვანილია საქართველოს ცხრა მოქალაქე, რომელთა უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის სასამართლოს მიერ იყო გასამართლებული.

მოლაპარაკებები მიმდინარეობდა და უახლოეს მომავალში ავსტრიის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადმოიყვანენ საქართველოს ორ მოქალაქეს - ავსტრიაში ჩადენილი დანაშაულისთვის წლების წინ გასამართლებულ აკაკი ჯავახაძესა და გიორგი ონიანს.

მკვლელობა, რომლისთვისაც მათ ავსტრიაში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, 9 წლის წინ ავსტრიაში მოხდა.

1996 წლის 11 ივლისს ვენის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ჩაცხრილეს დავით სანიკიძე. მოგვიანებით მკვლელობაში ეჭვმიტანილები ბუდაპეშტში დააპატიმრეს. ერთ-ერთი მათგანი "კრიმინალური ავტორიტეტის" სახელით ცნობილი ტარიელ ონიანის კლანს ეკუთვნოდა. 1998 წლის სექტემბერში ვენის სასამართლოში სანიკიძის მკვლელების საქმის განხილვა დაიწყო. პროცესზე მიწვეული მოწმეებიდან ზოგი საერთოდ არ ჩავიდა ვენაში, ზოგიერთები ჩვენების მიცემაზე უარს ამბობდნენ, ან ირწმუნებოდნენ, რომ ამ საქმის ირგვლივ არაფერი იცოდნენ იმაზე მეტი, რაც გამოძიებამ დააფიქსირა მათთვის ჩვენებების ჩამორთმევისას. ავსტრიელ პროკურორს ტერეზია შუმაისტერ-შმარტალს ძალიან სურდა, სცოდნოდა, რა მონაცემები ჰქონდა ვენის პოლიციას იმის თაობაზე, თუ საიდან ჰქონდა მოკლულს ასეთი ფართო კავშირები ვენის პოლიტიკურ წრეებთან.

დავით სანიკიძის მკვლელობისთვის ბუდაპეშტის სასტუმროში ორი ახალგაზრდა ქართველი - გიორგი ონიანი და აკაკი ჯავახაძე დააკავეს. ერთი მათგანი ტარიელ ონიანის ძმისშვილია, მეორე კი დავით სანიკიძის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე თბილისში მოკლული, წლების მანძილზე სანიკიძის ბიზნესპარტნიორის, რიჩარდ ჯავახაძის ვაჟი გახლდათ. სხვათა შორის, იმავე ჯავახაძის მკვლელობას დათო სანიკიძეს უკავშირებდნენ და ამიტომაც, ვენის ქუჩაში მისი ჩაცხრილვა თავის დროზე შურისძიების აქტად მოინათლა. თუმცა, შურისძიებასთან ერთად მკვლელობის სხვა მოტივებსაც ასახელებდნენ - მაგალითად, ევროასპარეზზე ცნობილი ნარკობარონის ესკობარისა და "კანონიერი ქურდი" იაპონჩიკის "მარჯვენა ხელის" - სანიკიძის - ჩანაცვლების სურვილზე. საუბარი იყო საქართველოში დაკარგული დიდი რაოდენობით თანხის მითვისებაზეც. როგორც ამბობენ, სწორედ ამ გარჩევებს შეეწირნენ "კანონიერი ქურდი" გივი ბერიძე და მხედრიონელები - გია სვანაძე და ზაზა ვეფხვაძე.

დავით სანიკიძის მკვლელობაში ორი ბრალდებულის დაპატიმრების შემდეგ, მოგვიანებით მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის ვენაში დააპატიმრეს ცნობილი მომღერლის პაატა ბურჭულაძის ვაჟი. ავსტრიელმა სამართალდამცველებმა სამივეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ამჟამად, მიღწეული შეთანხმების თანახმად, დავით სანიკიძის მკვლელობისთვის გასამართლებული აკაკი ჯავახაძე და გიორგი ონიანი საქართველოში იქნებიან ექსტრადირებულნი.

**24 საათი**

# იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი სისტემაში კორუფციაზე საუბრობს

პირველი გვერდიდან

როგორც რამაზ ღულაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შოთა კოპაძისა და ირაკლი ფანცხავას მიერ ციხის საავადმყოფოდან 55 პატიმრის ციხეში დაბრუნების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით, საფრთხე შეექმნათ მძიმე ავადმყოფებს. გარდა ამისა, ღულაძემ ციხის საავადმყოფოში კორუფციის ერთი მაგალითიც დაასახელა და რეაგირება მედიას სთხოვა. კერძოდ, მისი განცხადებით, "რეზბალნიცაში" ფუნქციონირებს უკანონო მაღაზია და რამდენიმე თვის წინ იქ მუშაობდა ტოტალიზატორიც.

მოახდენს თუ არა იუსტიციის მინისტრი აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებას, ძნელი სათქმელია, მით უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ აღნიშნული სკანდალის შემდეგ მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება შოთა კოპაძის საქმიანობა.

სამაგიეროდ, ციხის საავადმყოფოში მომხდარი ინციდენტის შესწავლას მოითხოვს თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი თეა თუთბერიძე.

იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე მონიტორინგის საბჭო საქართველოს გენერალურ პროკურატურას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში 12 სექტემბერს მომხდარი ფაქტის გამოძიებას სთხოვს. შესაბამისი განცხადებით საბჭომ გენერალურ პროკურატურას უკვე მიმართა. საბჭოს აღშფოთებას იწვევს ის, რომ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან თბილისის სხვადასხვა საპყრობილეებში გადაყვანილი 55 პატიმრიდან 35-ს სამედიცინო კომისიის შემოწმება გავლილი არ ჰქონდა. სახალხო დამცველის აპარატის რეაგირების შემდეგ პატიმრები საავადმყოფოში 12 სექტემბერსვე დააბრუნეს. თუმცა, მონიტორინგის საბჭოს წევრთა განცხადებით, ფაქტი მაინც მოითხოვს რეაგირებას. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ თეა თუთბერიძემ განაცხადა, ამ განცხადებაში საბჭო ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს, რომელთაც აღნიშნულ ქმედებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. გენპროკურატურას აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია.

## ორი სიტყვით

# საქართველო ეკონომიკური მიღწევებით მსოფლიოში მეასე ადგილზეა

დღეს სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" მსოფლიოს 2005 წლის ჰუმანური განვითარების ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართება, რომელიც 1990 წლიდან გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით მზადდება.

ჰუმანური განვითარების ანგარიში მსოფლიოს 177 ქვეყანას შეისწავლის, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკურ მიღწევებსაც. ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე და რეალური შემოსავალი, საქართველო მეასე ადგილზეა.

ანგარიშის პრეზენტაციას საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკური რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძე, სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ლანს კლარკი გაუძღვებიან.

დღევანდელ პრეზენტაციაზე საქართველოსთვის ჰუმანური ანგარიშის ძირითადი რეკომენდაციები იქნება განხილული და გაიმართება დისკუსია საქართველოში კონფლიქტის დარეგულირების, ვაჭრობისა და კერძო სექტორის განვითარების საკითხებზე.

**მედიანიუსი**

# რეფორმის შედეგად

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წლის რვა თვეში გატარებული რეფორმების შედეგებს თავისსავე ვებ-გვერდზე აქვეყნებს.

"სამინისტროების გაერთიანების შედეგად, აღმოიფხვრა შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებისთვის დამახასიათებელი პარალელიზმი და ურთიერთკონკურენცია," - ნათქვამია ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გაუქმდა მოკვლევის ინსტიტუტი, რითაც გამოძიების პროცესი გამარტივდა. შეიქმნა ძლიერი, მობილური კრიმინალისტური სამსახური, რომელიც, მობილური ლაბორატორიების მეშვეობით მთელ საქართველოს ფარავს. დანაშაულის ადგილზე კრიმინალისტების გამოჩენამ დანაშაულის გახსნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. შეიქმნა უბნის ინსპექტორების ინსტიტუტი, რეგიონებში ამოქმედდა საპატრულო პოლიციის დანაყოფები.

გატარებული რეფორმების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო თანამშრომელთა ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდა. სამინისტროში საშუალო ხელფასი 70 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა.

ოპერატიული თანამშრომლები უზრუნველყოფილი არიან ავტომანქანებით, კომპიუტერებით, საწვავით, იარაღითა და სპეციალური ტექნიკით, სხვა აუცილებელი საშუალებებით.

რეფორმის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და სპეციალური მომზადების ცენტრის ბაზაზე მუდმივად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება.

"პრაქტიკულად აღმოიფხვრა დაკავებულთა წამება, მინიმუმამდე შემცირდა ცემის ფაქტები, რაც აღინიშნა კიდევ ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების მიერ," - ნათქვამია განცხადებაში.

მიმდინარე წლის რვა თვეში ქრთამის აღებისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით 35 პოლიციელი დააკავეს. ამავე პერიოდში შსს-მ 50-ზე მეტი მაღალი თანამდებობის პირი დააკავა.

**24 საათი**

# აფხაზური სასამართლო დღეს 12 ქართველი მეტყევის საქმეს განიხილავს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გალის რაიონული სასამართლო 12 ქართველი მეტყევის საქმეს განიხილავს.

აფხაზმა სამართალდამცველებმა წალენჯიხელი მეტყევეები გალის რაიონში ტყის უკანონო ჭრის ბრალდებით მიმდინარე წლის 20 ივლისს დააკავეს.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის ჯემალ გოგიას ინფორმაციით, საქართველოს 12 მოქალაქეს პროკურატურამ ბრალი აფხაზეთის რესპუბლიკის საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო წაუყენა. ათს კი ბრალი აფხაზეთის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ტყის უკანონო ჭრისთვისაც ედება.

ქართული მხარის მოთხოვნის მიუხედავად, აფხაზურმა მხარემ სასამართლოზე ქართველი ადვოკატი არ დაუშვა. აფხაზურმა ხელისუფლებამ პროცესზე დასწრების უფლება მხოლოდ გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის წარმომადგენლებს დართო.

**ინტერპრესნიუსი**

# ქართველი კანონიერი ქურდი "ბოქსიორა" კიევში დააკავეს

უკრაინელმა სამართალდამცავებმა ქართველი კანონიერი ქურდი, მეტსახელად "ბოქსიორა" დააკავეს. ეჭვნიტანილი კიევში ბინის ქურდობებში სპეციალიზებულ რამდენიმე ბანდას მეთაურობდა.

კრიმინალური ავტორიტეტი კიევის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აიყვანეს. როგორც უკრაინის შს სამინიტროს საზოგადოებრივი ურთიერთობის ცენტრი იუწყება, უკრაინის საზღვარი ყალბი დოკუმენტებით ავთანდილ ხ.-მ 2005 წლის ივნისში გადაკვეთა.

"ბოქსიორა" 1993 წელს საქართველოს შს სამინისტროს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის გატაცების, ყაჩაღური თავდასხმის, იარაღის ტარებისა და ტრანსპორტის უკანონო დაუფლებისთვის გაასამართლეს და მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სწორედ ციხეში მოხდა მისი ქურდად "კურთხევა".

2005 წლის მაისში მან სასჯელი სრულად მოიხადა და მაშინვე დატოვა საქართველო.

უკრაინის პოლიცია რამდენიმე თვის განმავლობაში იძიებდა მის ადგილსამყოფელს. არასასურველი სტუმარი კიევში "პობედას" პროსპექტზე მაშინ დააკავეს, როცა საკუთარი ძმის ავტომანქანიდან გადმოდიოდა.

უკრაინელი სამართალდამცავები საქართველოდან ეჭვმიტანილის იდენტიფიკაციისთვის საჭირო დოკუმენტაციას ელოდებიან. მხოლოდ შემდეგ გადაწყდება ცნობილი ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის დეპორტაციის საკითხიც.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# გერმანია საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში

## შრიოდერი კოალიციაში შესვლას გამორიცხავს

ხათუნა გაბიევი



18 სექტემბერს გერმანიაში საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი. კანცლერი გერჰარდ შრიოდერი მესამე ვადით გამარჯვებას იმედოვნებს, თანაც ის არგუმენტად სულ უფრო ხშირად იმეორებს საარჩევნო კამპანიისას წარმოთქმულ სიტყვებს სოციალ-დემოკრატების აღმავლობის ტენდენციის შესახებ. თუმცა, შრიოდერის გულწრფელობისა ნაკლებად სჯერა მის პოლიტიკურ ოპონენტს ანჯელა მერკელს. გერმანიის კანცლერის თქმით, არჩევნების შემდეგ იგი ახალ მემარცხენე პარტიასთან კოალიციის ფორმირებას არ აპირებს, რა სიხშირითაც უნდა ამტკიცოს ეს ანჯელა მერკელმა.

გერჰარდ შრიოდერის თქმით, სავარაუდო ალიანსის შესახებ მითქმა-მოთქმა მხოლოდ მედიისა და რიგი ოფიციალური პირების მიერ მოგონილი "აბსურდია".

**"მე მყარი პრინციპები მაქვს და არ ვაპირებ რაიმე კოალიციებსა და კომბინაციებზე საუბარს. ამგვარ აბსურდულ სპეკულაციებში მონაწილეობას არ ვიღებ,"** - აღნიშნავს გერჰარდ შრიოდერი.

მერკელი კი მიიჩნევს, რომ სოციალ-დემოკრატები წარმატებული რეფორმების გატარებისთვის უუნარო და ძალიან დანაწევრებული პარტიაა.

**"შესაძლოა, სოციალ-დემოკრატებს სურდეთ კიდეც მმართველობა, მაგრამ მათ საამისო ძალა აღარ შესწევთ,"** - აღნიშნა ანჯელა მერკელმა მხარდამჭერებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე.

ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ლიდერმა ანჯელა მერკელმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს მომავალი კანცლერის ვინაობის შესახებ დასმულ კითხვაზე, თუმცა დიდი ხალისით ისაუბრა გერჰარდ შრიოდერის სავარაუდო პოლიტიკურ ნაბიჯზე. მერკელის აზრით, ამჟამინდელი კანცლერი პოსტის შესანარჩუნებლად სამმხრივი კოალიციის შექმნას არ მოერიდება - "წითელი-წითელი-მწვანე" კოალიციის წევრები სოციალ-დემოკრატები, მწვანეები და მემარცხენე პარტიები იქნებიან.

გერჰარდ შრიოდერი კი მტკიცედ უარყოფს სამმხრივი კოალიციის შექმნის ახალ იდეას. კანცლერის თქმით, ასეთი რამ დაუშვებელია, რადგან ასეთი კოალიციის პირობებში გამორიცხული არ იქნება პერსონალურ დონეზე დაპირისპირება.

**"ასეთი კოალიციის ფორმირება სრულიად გამორიცხულია და არ შეიძლება რაიმე კითხვა რჩებოდეს ამასთან დაკავშირებით. იმედი მაქვს, სოციალ-დემოკრატები მაინც შეძლებენ არჩევნების შემდეგ პარლამენტში პოზიციების შენარჩუნებას, რადგან არსებული ტენდენციაც ამაზე მეტყველებს,"** - აცხადებს კანცლერი.

არჩევნებამდე კი სავარაუდო შედეგები ქვეყნდება. სააგენტო "ემნიდ"-ის მონაცემებით, ქრისტიან-დემოკრატებსა და ქრისტიან-სოციალისტებს 42 პროცენტი უჭერს მხარს, თავისუფალ დემოკრატებს - 6.5, რაც, ჯამში, 48.5 პროცენტს შეადგენს.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, ისინი, სავარაუდოდ, 33.5 პროცენტის აღებას თუ შეძლებენ, "მწვანეები" - 7-ის, ხოლო მემარცხენე პარტია - 8 პროცენტის დაგროვებას. ამ უკანასკნელთა ჯამური მაჩვენებელი, ასევე, 48.5 პროცენტია.

როგორც ვხედავთ, მეტ-ნაკლებად ობიექტური პროგნოზებით, შანსები თანაბარია, ხოლო საბოლოოდ ვინ აღმოჩნდება ახალ პარლამენტში წამყვანი ძალა, მხოლოდ 18 სექტემბრის შემდეგ გაირკვევა.

# გერმანიის არჩევნების ხუთი "უცნობი"

რალფ დარენდორფი
*ყოფილი ევროკომისარი გერმანიიდან, ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრი*

18 სექტემბერს გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება - არჩევნები, რომელსაც, სულ მცირე, ხუთუცნობიანი განტოლებაც, სხვა სიტყვებით, ხუთი აუხსნელი ფაქტი ახლავს თან. ეს მართლაც განტოლება რომ იყოს, მისი ამოხსნა შეუძლებელი იქნებოდა. საბედნიეროდ, პოლიტიკა მათემატიკა არ არის, თუმცა ამ ხუთი ამოუცნობი მოვლენის საფუძვლიანი ახსნა მაინც ძალიან ძნელი საქმე იქნება. მართლაც, თანამედროვე პოლიტიკის პირობებში, გერმანიის შემთხვევა განსაკუთრებულად რთულია.

არჩევნებთან დაკავშირებით წარმოშობილი ხუთი კითხვიდან პირველი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: საერთოდ, რატომ ტარდება ამჟამად არჩევნები გერმანიაში? საქმე ის გახლავთ, რომ კანცლერ გერჰარდ შრიოდერს თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლამდე კიდევ თხუთმეტი თვე ჰქონდა დარჩენილი, თანაც აშკარა იყო, რომ მისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა თავისი, როგორც ამბობენ, უმნიშვნელო უმრავლესობის მობილიზება პარლამენტში.

უდავოა, რომ ის სერიოზული პრობლემები, რომელიც ფედერალურმა პრეზიდენტმა ჩამოთვალა ბუნდესტაგის დათხოვნის დროს, მართლაც რეალურია. ფინანსური მდგომარეობა (გერმანური სტანდარტებით) ძალიან მძიმეა. ხოლო მოცემულ მომენტში სახელმწიფოს შიდა ვალის მაჩვენებელი აშკარად წინააღმდეგობაშია "ევროპის კავშირის სტაბილურობის და ზრდის პაქტის" მიერ დადგენილ დასაშვებ ნორმასთან და ტვირთად აწევს მომავალ თაობებს. თუნდაც დემოგრაფიული ცვლილებები სოციალური პოლიტიკის სფეროში ძირეული რეფორმების გატარებას მოითხოვს; მეტიც, ფედერალური სისტემის ინსტიტუტები მოკლე დროში მკაფიო გადაწყვეტილების მიღების საშუალებას არ იძლევა.

ამ საკითხებიდან არც ერთი არაა ახალი, თანაც არჩევნები სიტუაციას ვერ შეცვლის. ამგვარად, ბევრისთვის გაუგებარია, საერთოდ, რატომ უნდა წავიდნენ არჩევნებზე.

მეორე კითხვა, რომელიც პასუხის გაცემას საჭიროებს, ასე ჟღერს: კონკრეტულად, რა ნიშნით განსხვავდებიან მთავარი პარტიები ამ ბრძოლაში? სოციალ-დემოკრატიულ და ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიებს გეზი აღებული აქვთ "სოციალური საბაზრო ეკონომიკისკენ", კორპორაციული ეკონომიკური მართვის საწყისებისკენ, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს უფლებების დაცვისკენ, ასევე - ევროკავშირისა და ნატოსკენ.

დღეს შრიოდერი უფრო ემფატურად იყენებს სიტყვას "სოციალური", ვიდრე უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში. ოპოზიციური ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ანგელა მერკელმა თავისი პროგრამა დაუკავშირა არჩევნების აუტსაიდერის, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი ლიდერის პოლ კირჰოფის ამბიციურ იდეებს, რომელიც საგადასახადო სისტემის საგრძნობ გამარტივებას გულისხმობს.

საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში მერკელი, შრიოდერისგან განსხვავებით, გაცილებით სკეპტიკურადაა განწყობილი ევროკავშირის შემდგომი გაფართოების მიმართ, განსაკუთრებით - მასში თურქეთის გაწევრიანების პერსპექტივისადმი. წარმოშობით აღმოსავლეთ გერმანელი მერკელი დიდი სიფრთხილით ეკიდება რუსეთთან ურთიერთობის საკითხსაც. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ ნიუანსებია და არა საფუძვლიანი განსხვავებები.

მესამე საკითხი, რომელიც გაურკვევლობას ბადებს, ასპარეზზე მემარცხენე პარტიის გამოჩენაა, რომელმაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის "მარცხნივ" დაიკავა თავისი ადგილი. იგი აღმოსავლეთ გერმანიის ყოფილი კომუნისტური პარტიის ნანგრევებიდან წარმოიშვა. მის წევრებს შორის დასავლეთის სოციალ-დემოკრატები არიან, რომლებიც თავიანთ თავს საყოველთაო კეთილდღეობის დამცველებს უწოდებენ.

მემარცხენე პარტიას ორი პოპულისტი პოლიტიკოსი უდგას სათავეში: კომუნისტური პარტიის ყოფილი ლიდერი გრეგორი გიზი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წინამძღოლი ოსკარ ლაფონტენი. ამ პოლიტიკოსებს შორის არანაირი მსგავსება არ არსებობს, გარდა იმისა, რომ ისინი დღემდე ერთნაირად წარუმატებელნი არიან პოლიტიკაში და ეხერხებათ პოპულისტური გამოსვლები. თუმცა, ეს აშკარად იმსახურებს მათ მოწონებას, ვინც ფიქრობს, რომ ამ პოლიტიკოსებს არც არავინ უწევს ანგარიშს ან, საერთოდ, არავის ახსოვს ისინი. ამომრჩევლების მიერ ამ პარტიის სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობას (სავარაუდოდ, 10 პროცენტი) შეუძლია განსაზღვროს, რა სახის კოალიცია შეიქმნება არჩევნების შემდეგ.

სწორედ ამიტომ, მეოთხე პასუხგასაცემი შეკითხვაა: რეალურად, რას გააკეთებს მომავალი მთავრობა? უდავოა, რომ ეს იქნება მთავრობა ახალი მემარცხენე პარტიის გარეშე, მთავრობა მწვანეების გარეშე - მთავრობაში მათი ყოფნის "ფუფუნების" უფლებას გერმანია თავს ვეღარ მისცემს. ეს ორ გზას ტოვებს: კოალიცია ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას, მის ბავარიულ ფილიალს, ქრისტიან-სოციალურ კავშირსა და ლიბერალურ თავისუფალ დემოკრატებს შორის ან დიდი კოალიცია სოციალ-დემოკრატიულსა და ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიებს შორის.

დაბოლოს, ის, რისი გაგებაც გერმანელების უმრავლესობას ყველაზე მეტად სურს - რას მიიღებენ ისინი ამ არჩევნებიდან? თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ამით არაფერი შეიცვლება. შესაძლოა, ეს აზრი მართალიც იყოს. არსებობს ცვლილებების დიდი სურვილი, მათ შორის - მთავრობისა, მაგრამ არსებობს რწმენაც, რომ ყველაფერი კვლავ ძველებურად დარჩება.

ეს კიდევ უფრო დიდი ძალით წამოწევს იმ კითხვებს, რომლებიც მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება: ვის შეუძლია გზააბნეული და უმიზნო გერმანია სწორი მიმართულებით წაიყვანოს? ვინ მოახერხებს ამ ქვეყანას დაუბრუნოს ევროპის მემანქანის სტატუსი მაშინ, როცა მას დღეს უინტერესო მგზავრის ფუნქცია აკისრია.

ის, რაც გერმანიას რეალურად სურს, საკმაოდ თვალშისაცემია. მან უნდა აღიაროს, რომ გლობალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებლობაა, რომელსაც სანდო, ინოვატორი და მოხერხებული ხალხი უნდა ჩაებღაუჭოს. გერმანელებს კიდევ ერთხელ მოუწევთ იმის გააზრება (ეს მათ 1945 წლის შემდეგ გააკეთეს), რომ მათი მომავალი მათსავე ხელშია.

უპირველეს ყოვლისა, გერმანიამ უნდა დააფასოს და გაიაზროს, რომ ცვლილებები სჭირდება - ესაა გაუმჯობებესება, რომელიც მისი მომავალი უსაფრთხოების გარანტი იქნება; ალბათ, ყველაზე მეტად 1980-იან წლებში მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური ხედვისა და ტონი ბლერის ამჟამინდელი რიტორიკის გაზიარება სჭირდება ოდნავ მაინც. თუმცა, ჯერ კიდევ საკითხავია, საერთოდ თუ გახდება ეს შესაძლებელი. თუ ეს რეალურად ასე იქნება, მაშინ აქვე ჩნდება კიდევ ერთი კითხვა - როდის?!

*პროექტი სინდიკატი, 2005წ.*

## საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
## მოწვევა საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის პროექტი,
სამედიცინო აპარატურის შესყიდვა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საავადმყოფოებისათვის
კრედიტის N 3264 GE

1. წინამდებარე მოწვევა ტენდერზე ქვეყნდება ამ პროექტისთვის გაზეთ „Development Business"-ში (1999 წლის 16 ივნისის N 512, განახლებული 2005 წლის 16 იანვარს N646) შესყიდვებზე გამოქვეყნებული ზოგადი განაცხადის საფუძველზე.

2. საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციიდან (IDA) სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის (SRS) პროექტის დასაფინანსებლად. ამ კრედიტის ნაწილი გამოყენებულ იქნება ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საავადმყოფოებისთვის სამედიცინო აპარატურის შესაძენად. კონტრაქტის N SRS/ICB/G-05/03

3. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს, რათა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები სამედიცინო აპარატურის მიწოდებაზე, რაც გულისხმობს სამედიცინო აპარატურის მიწოდებას, დანიშნულების ადგილზე მიტანასა და მონტაჟს. შესასყიდი აპარატურა განკუთვნილია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო 3 საავადყოფოს (თბილისი, ქუთაისი და აბასთუმანი) აღსაჭურვად.

4. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის (ტენდერის) პროცედურების შესაბამისად, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს *"შესყიდვები IBRD სესხებითა და IDA კრედიტებით, გამოცემული 1995 წლის იანვარში, გადასინჯული 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში."* შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს ამ სახელმძღვანელოში განმარტებული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

5. დაინტერესებულ უფლობემოსილ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და სატენდერო დუკუმენტაციის გაცნობა შეუძლიათ 10:00-დან 17:30 საათამდე შაბათ-კვირის გარდა განცხადების მე-7-ე პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. სატენდერო დოკუმეტაციის კომპლექტის (ინგლისურ ენაზე) შეძენა შესაძლებელია წერილობითი მოთხოვნისა და 50 აშშ დოლარის ან 90 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდილი თანხა მონაწილეებს არ დაუბრუნდებათ. თანხა გადარიცხულ უნდა იქნას საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ანგარიშზე.

| საკორესპ. ანგარიში (USD) | სალარე ანგარიში |
|---|---|
| Intermediary Bank: DRESDEN BANK AG, Frankfurt 2 main, Germany. Bank Beneficiary: Bank Republic Tbilisi, Georgia SWIFT: REPLGE22 ACC# 499/08 125 004 00/400 Beneficiary: Georgia Health and Social Projects' Implementation Center Account # 23418000189 | სს ბანკი რესპუბლიკა 220101757 [illegible] ანგარიში N 23408000189 |

მონაწილეებს საქართველოდან და მის ფარგლებს გარედან სატენდერო დოკუმენტაცია გაეგზავნებათ კურიერული ფოსტით ზემოთხსენებული პროცედურების გავლის შემდეგ მათსავე ხარჯზე. სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის მოთხოვნა შეიძლება ამავე დოკუმენტების ნაბეჭდი ვერსიის ადრესატთან გაგზავნის შემდეგ.

7. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული კონვერტებით ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2005 წლის 26 ოქტომბრის 16:00 საათისა. სატენდერო დოკუმენტაციას უნდა ახლდეს საკონკურსო საბანკო გარანტია - 3000 (სამი ათასი) აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი თანხა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში საბანკო გარანტიის აღების დღისათვის დაფიქსირებული ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის მიხედვით. დაგვიანებით შემოსული წინადადებები მიიღება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 26 ოქტომბერს, 16:00 საათზე ტენდერის მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით თუ ისინი ამის სურვილს გამოთქვამენ.

მისამართი:
საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
ქ. თბილისი 0160, საქართველო.
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34
ელ-ფოსატა: info@hpic.ge
ქართულ და ინგლისურ განცხადებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვარიანტს.

## Georgia Health and Social Projects Implementation Center
## Invitation for Bids

Georgia

Structural Reform Support (SRS) Project

Medical Equipment for TB Hospitals
Credit No: 3264 GE

1. This invitation for bids follows the General Procurement Notice for this Project that appeared in Development Business, issue no. 512 of 16 June 1999, most recently updated on 16 January 2005, Issue No. 646

2. Georgia has received a credit from the International Development Association toward the cost of Structural Reform Support Project and intends to apply part of the proceeds of this credit to payment under contract for Supply of Medical Equipment for TB Hospitals. Contract No: SRS/ICB/G-05/03

3. Georgia Health and Social Projects' Implementation Center (GHSPIC) now invites sealed bids from eligible bidders for supply, distribution and installation of medical equipment. These items of equipment are required for use in three TB hospitals located in i) Tbilisi, ii) Kutaisi and iii) Abastumani.

4. Bidding will be conducted through the international competitive bidding procedures specified in the World Bank's *Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits January 1995 (Revised January and August 1996, September 1997 and January 1999)*, and is open to all bidders from eligible source countries as defined in the Guidelines.

5. Interested eligible bidders may obtain further information from GHSPIC and inspect the bidding documents at the address given below from 10:00 hours to 17:30 hours.

6. A complete set of bidding documents in English may be purchased by interested bidders on the submission of a written application sent to the address below and upon payment of a nonrefundable fee of USD 50 or GEL 90. The method of payment will be by bank transfer into the bank account of GHSPIC:

**FOR USD**
Intermediary Bank: DRESDEN BANK AG, Frankfurt 2 main, Germany.
Bank Beneficiary: Bank Republic Tbilisi, Georgia
SWIFT: REPLGE22
ACC# 499/08 125 004 00/400
Beneficiary: Georgia Health and Social Projects' Implementation Center
Account # 23418000189

**FOR GEL**
JSC Bank Republic 220101757
Beneficiary: Georgia Health and Social Projects' Implementation Center
Account # 23408000189

Upon request, the document will be sent by courier service at the recipient's expense. An electronic version of the bidding documents may be transmitted only after the hard copy has been distributed.

7. Bids must be delivered to the address below not later than 26 October 2005 at 16:00 hours. All bids must be accompanied by a bid security in the amount of USD 3'000 (three thousand US dollars) or an equivalent amount in freely convertible currency. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend at the address below at 26 October 2005 at 16:00 hours.

Georgia Health and Social Projects' Implementation Center.
Contact Person: Eka Ekizashvili, Office manager
Address: 23 Al. Kazbegi Ave, Building 2, 5th floor, Tbilisi - 0160, Georgia.
Tel/Fax: +995-32-331-839
+995-32-331-939;
+995-32-331-934
For fax: extension 119
E-Mail: info@hpic.ge

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს სატელიტით საქართველოს ტელევიზიის პროგრამების გავრცელებაზე საერთაშორისო ღია ტენდერს

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. -68

**სატენდერო პირობები სატელიტის სეგმენტზე:**

**1.სატელიტის პოზიცია ორბიტაზე - 42 Deg East**
**2.დიაპაზონი - Ku Ba-d**
**3.ტრანსპონდერის ტიპი - ციფრული Digital Video Broadcast (DVB; MPEG-2)**
**4.მოდულაციის ტიპი - QPSK**
**5.სიხშირეების დიაპაზონი - 4 MHz**
**6.დაფარვის ზონა - ძირითადად ევროპული ნაწილი**
**7.ველის დაძაბულობა საქართველოში - 50-52 db**

**მომსახურების ვადა ერთი წელი.**

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) 2005წ. 6 ოქტომბრის 11 საათიდან 12 ოქტომბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი - 341.

**საკავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას საქართველოს რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვისმათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს

**დამატებითი მოთხოვნები:**

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი სატენდერო წინადადების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით. (ხელშეკრულების გარანტირების კონკრეტული მოთხოვნები აისახება სატენდერო დოკუმენტაციაში).

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500ლ.) გადახდის შემდეგ, 2005წ. 18 ოქტომბრის 11 საათიდან 28 ოქტომბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი - 341.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზამთარაძე ნათია. ტელ: 33-23-64**

# ლაშა და ქალაქი

**ლაშა ბუღაძე**: დღეს ჩემი სტუმრები არიან მომღერალი თამარ ჭოხონელიძე და საკრებულოს დეპუტატი, ისნის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი მოსიძე. ვისაუბრებთ მერიის ახალ ინიციატივებსა და განცხადებებზე, რომლებსაც ხშირად აჟიოტაჟი და საზოგადოების არცთუ ერთფეროვანი შეფასებები მოჰყვება. ვგულისხმობ ქუჩების სახელწოდებების შეცვლას.

მაგალითად, დღევანდელ სხდომაზე მერმა გამოთქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სახელი დაგვერქმია. ასევე საუბარი იყო ქეთევან წამებულის გამზირზე, მას ქეთევან დედოფლის სახელს უწოდებენ... ეს უკანასკნელი ნაკლებად სადავოა, მაგრამ პირველი ქუჩის სახელწოდება, ცოტა არ იყოს, უმწეო მლიქვნელობა ხომ არ არის?! მით უმეტეს, ქალაქში, რომელშიც სახელებისა და გვარების დეფიციტი არ უნდა იყოს... ვისაუბროთ იმაზეც, რამდენადაა ეს მერის ინიციატივა, არის თუ არა ის სხვათა გამხმოვანებელი. და საერთოდ, ქართველებისთვის თავის გამოჩენის თვისება პათოლოგიაა თუ არა? მსმენელს შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი ტელეკომპანია "202"-ზე გასულ სკანდალურ ფილმთან დაკავშირებითაც.

**გიორგი მოსიძე**: კობა ბექაურის ამბავი უკვე მოძველდა. ეს ადამიანი ჯერ კიდევ საკრებულოში ყოფნის დროს იწვევდა ეჭვს, მაგრამ მე საკითხს სხვაგვარად დავსვამდი. პარალელს გავავლებდი უკრაინაში მომხდარ ბოლოდროინდელ მოვლებთან, სადაც ვიცე-პრემიერმა იულია ტიმოშენკომ ყინულმჭრელის როლი შეასრულა და რევოლუციის ერთ-ერთი შემოქმედი იყო. მიუხედავად ამისა, იუშჩენკომ ის გზიდან ჩამოიშარა და ერთი ხელის მოსმით გადაარჩინა ნარინჯისფერი რევოლუციის იმიჯიცა და საკუთარი თავიც. ახლა ვკითხულობ: ნუთუ პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ბექაური უფრო ძვირფასია, ვიდრე პრეზიდენტ იუშჩენკოსთვის ტიმოშენკო? "202"-ც რომ არ ყოფილიყო, ისედაც ცხადი იქნებოდა, რომ ბექაურის მსგავსები არ უნდა იყვნენ არა მხოლოდ ხელისუფლებაში, არამედ სახალხო ადგილებშიც კი. ჯერჯერობით უმრავლესობის მხრიდან ამ პრობლემისადმი მხოლოდ ცინიკური დამოკიდებულება ფიქსირდება - კობა ბექაურიც გვეყოლება და ნაბადიც ჩვენ გვეხურებაო.

**ლაშა ბუღაძე:** ხაზზე მსმენელია.

**მსმენელი:** დიდი პატივისცემის მიუხედავად, კარგი იქნებოდა განგემარტათ ტერმინები, რომელსაც ახსენებთ. რას ნიშნავს მლიქვნელობა? იქნებ ჩვენი მთავრობა ქუჩისთვის ბუშის სახელის დარქმევით თავის პოზიციას გამოხატავს იმ ქვეყნის მიმართ, ვინც დემოკრატიას აშენებს?

**ლაშა ბუღაძე:** პირადად ჩემთვის ეს, რბილად რომ ვთქვათ, კომიკურია. თანაც, ქუჩისთვის ცოცხალი ადამიანის სახელის მინიჭება ცოტა უხერხულია. რაც არ უნდა დიდ პოლიტიკოსზე ვსაუბრობდეთ, არა მგონია, მისი სახელის უკვდავყოფა საქართველოში საჭირო იყოს...

**მსმენელი**: ვიზიარებ, მაგრამ ვერ გეთანხმებით.

**გიორგი მოსიძე**: იმ სახელმწიფოში, სადაც ადამიანის უფლებები ითელება, სადაც არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო, სადაც პრეზიდენტი ერთპიროვნული იმპერატორია, სადაც ხალხი სულ უფრო მეტ სოციალურ გაჭირვებას განიცდის, სადაც მასმედიის დისკრედიტაციის პირდაპირი კამპანიაა დაწყებული, რომელიმე ქუჩას და მოედანს ვუწოდოთ დემოკრატიის ფლაგმანი ქვეყნის მეთაურის სახელი, არის ღია და გოიმური ცინიზმი.

**თამრიკო ჭოხონელიძე:** კარგად მსჯელობთ და მინდა მსმენელის როლში ვიყო, რადგან მგონია, რომ ეს მამაკაცების გასარჩევი თემა უფროა. თუმცა, როგორც მოქალაქე და შვილების დედა, ვიტყვი, რომ ეს ის თაობაა, რომელსაც სრულებით მოვუსპეთ ტრადიცია. ამიტომ არაფერი მიკვირს. ისეთი დრო დადგა, რომ უკან მოხედვა არავის უნდა. ხელისუფლება გაუგებარ გზაზე დგას და ალბათ ეს იმ გარემოს ბრალია, რომელიც პრეზიდენტს ჰყავს. არაკეთილგონიერება იმდენად ჭარბობს, რომ მეშინია. ის, რაც ბექაურმა ჩაიდინა, გამიხარდებოდა სხვა წარმოშობის გვარიშვილს და არაქართველს რომ ჩაედინა; უფრო გულდამშვიდებული ვიქნებოდი... ყველას ვურჩევდი, გადაეხედათ ისტორიისთვის, სადაც ქართული ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდებოდა, რადგან ბექაურის მსგავსნი ყოველთვის გვყავდა. ასევე, სასტიკი წინააღმდეგი ვარ დაბეზღების ინსტიტუტისა. ჩემმა შვილმა თავისი თანატოლი, მეგობარი და თანამოქალაქე რატომ უნდა დააბეზღოს? მერე ერთმანეთს თვალებში როგორ უნდა შეხედონ? რაც შეეხება მლიქვნელობას, ეს სასაცილოდ მეჩვენება. საინტერესოა, თავად ბუში ამაზე როგორ რეაგირებას მოახდენდა, ალბათ მასაც გაეღიმებოდა.

**ლაშა ბუღაძე:** ხაზზეა მსმენელი.

**მსმენელი**: ვიზიარებ ქალბატონი თამარის აზრს. დავუშვათ, ქუჩას ბუშის სახელი ვუწოდეთ, მაგრამ დარჩენილ საპრეზიდენტო ვადაში ამ კაცმა სამარცხვინო რამ რომ ჩაიდინოს, რა გვეშველება?

**თამრიკო ჭოხონელიძე**: თანაც ხელისუფლებაში ჩინოვნიკები ელვის სისწრაფით იცვლებიან.

**ლაშა ბუღაძე**: გარდა ამისა, ჩვენ სპეციალურად გადავამოწმეთ სხვადასხვა შტატის კანონმდებლობა. უმეტესობა კრძალავს მოქმედი პოლიტიკური მოღვაწის სახელის დარქმევას. ზოგიერთ შტატში ეს პიროვნების გარდაცვალების ან ხუთწლიანი ვადის შემდეგ არის შესაძლებელი. რაც დღეს თბილისში ხდება, პროვინციალიზმია. გიორგი, თქვენ უკვე ამასთან დაკავშირებით წერილი მოამზადეთ....

**გიორგი მოსიძე**: ჩვენ მივმართავთ პრეზიდენტ ბუშს და გვაინტერესებს მისი რეაქცია. იქნებ "თეთრი სახლიდან" ვინმემ გვიპასუხოს. დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია.

**ლაშა ბუღაძე:** ამასთან დაკავშირებით ჩვენი საკრებულო როგორ მოიქცა?

**გიორგი მოსიძე:** საკრებულო ამას დაეთანხმა, უმრავლესობამ "იყოჩაღა". მოკლედ, პარტიული დავალება ხუთიანზე შეასრულა. მათთვის რომ ეთქვათ, ფიდელ კასტროს სახელი დაარქვითო, დაარქმევდნენ.

**ლაშა ბუღაძე**: ეს არის ხალხი, რომელმაც თავის ქალაქთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ვერაფრით ვერ გააცნობიერა. ძალიან მინდოდა ამ გადაცემაში მოსულიყვნენ ისინი, ვინც ამაში მონაწილეობდა, მაგრამ ვერავის მივაკვლიე - ზოგს ტელეფონი ჰქონდა გათიშული, ზოგსაც - არ ეცალა. მსმენელიც გვყავს...

**მსმენელი:** მინდა გკითხოთ: თუკი არსებობს შარტავასა და გულუას ქუჩა, გენერალმა გენო ადამიამ რა დააშავა?

**ლაშა ბუღაძე**: ამ შეკითხვის ადრესატები ალბათ ჩვენ არ ვართ.

**გიორგი მოსიძე:** მსმენელმა ხელმოწერებით დამშვენებული წერილით უნდა მიმართოს გიგი უგულავას და საკრებულო ამ საკითხს განიხილავს.

**მსმენელი:** მინდა იმ მსმენელს გამოვეხმაურო, რომელმაც ცნება "მლიქვნელობა" ვერ გაშიფრა. ჟარგონზე ამას "პადლიზობა" ჰქვია. რაც შეეხება კობა ბექაურს, ვერც მას გავამართლებთ.

**ლაშა ბუღაძე:** რადგან ორ თემაზე ვსაუბრობთ, იმასაც დავამატებ, რომ ასეთი პრობლემები არ შეგვექმნებოდა, ქალაქის მერი ხალხის არჩეული რომ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ის ხალხთან იქნებოდა ვალდებული და არა საკრებულოსთან. ახლა ჩვენ იძულებული ვართ დავეთანხმოთ მათ, ვინც უაპელაციოდ უმრავლესობის დავალებას ასრულებს.

**გიორგი მოსიძე**: დაგეთანხმებით, რომ დანიშნული მერი არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი საქართველოს პრობლემაა. მეტსაც გეტყვით, საკმაოდ დაბალი რეიტინგი ჰქონდა ჭიაბერაშვილსაც, მაგრამ გიგი უგულავამ ორ თვეში იმდენი მოახერხა, რომ ხალხს ჭიაბერაშვილისადმი ნოსტალგია გაუჩინა: რას ვერჩოდითო. რაც უგულავა მოვიდა, ჯერ "მარშრუტკები" აკრძალაო, მერე პიონერთა სასახლე გააჩუქაო, მერე ტაქსები აკრძალაო, ქუჩებს ბუშის სახელს არქმევს, ხოლო კიდევ ერთი კულუარული ინფორმაციით, პირველი კლასიკური გიმნაზიის პრივატიზებაც აქვს ჩაფიქრებული. რაც შეეხება საკრებულოს, ის გაუგებარი წარმოშობის ორგანოა. იქ მომუშავენი მხოლოდ საკუთარ თავსა და ოჯახზე ფიქრობენ. კულუარებში ისიც მითხრეს, რომ ეს პრეზიდენტი ერთხელაც გაფრინდება და აღარ ჩამოფრინდებაო. ყველამ ვიცით, რა მექანიზმებით აკავებენ უმრავლესობას, რომელიც გახეული შარვალივით ირღვევა. აქედან ერთადერთი გამოსავალი არის რეგიონალიზაცია, სადაც ყველა აირჩევს თავის მერს, გამგებელს და იქნება მაქსიმალური თვითმმართველობა, რომელსაც, სხვათა შორის, ჯორჯ ბუში ქადაგებს, ანუ ცენტრალურ მთავრობას შეზღუდული უფლებები ექნება და ადგილებზე მიმდინარე პროცესებში არ ჩაერევა.

**ლაშა ბუღაძე:** თამრიკო, ჩვენი საზოგადოება ასეთი თემების მიმართ გულგრილია. რით აიხსნება ეს? მას არ სჯერა საკუთარი ძალების თუ ფიქრობს, რომ ყველაფერი მის გარეშეც მოგვარდება?

**თამრიკო ჭოხონელიძე:** ინფანტილიზმს უნდობლობა ბადებს. არჩევნებზე რამდენჯერმე მეც სიხარულით წავედი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს ხალხის გადაწყვეტილება არ იყო. ამ ბოლო ხანებში საშიში ფრაზები მესმის: "გამოვალ, აბა, რას ვიზამ, მაგრამ მესვრის". მოსახლეობაში შიშის სინდრომი გაჩნდა. ხალხმა გაიაზრა და მიხვდა, რომ პროტესტის გამოხატვისას შეიძლება, ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდეს. მაშინ, როცა ხელყოფილია თავისუფალი სიტყვა და აზრი, მოსალოდნელია ფიზიკური განადგურებაც. ხშირად ჩვენი ცხოვრება ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეულ კანფეტს ჰგავს. თვალში ნაცარს გვაყრიან, როცა გვეუბნებიან, რა კარგად ვცხოვრობთო. არადა, რეალურად ასე არ არის. მაშინ, როცა რევოლუციას ამზადებდნენ, ამბობდნენ, ნახეთ, ხალხს როგორ უჭირსო და ახლა დაავიწყდათ ეს ხალხი? დაფიქრდნენ ამაზე.

**გიორგი მოსიძე:** ერთმა იუმორისტმა თქვა, რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით უფრო თვალნათლივ ჩანს შენი ქვეყნის წარმატებები და ბედნიერებაო. პრეზიდენტი ძალიან ღია ფერებში ხედავს ქვეყნის მდგომარეობს. ის ყოველ ბრიფინგზე გვიყვება, რა ბედნიერად და მშვენივრად ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენ რატომ ვერ ვგრძნობთ ამას? სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა სწრაფი ტემპით უახლოვდება ბელორუსიის ფასადურ ავტორიტარულ სისტემას. ან ეს ჩვენი კმარელები მინსკში რევოლუციების საკეთებლად რატომ დადიან, ჩვენ პრობლემები გვაკლია თუ შეუქცევადი დემოკრატიის გზაზე ვდგავართ?..

**ლაშა ბუღაძე:** ეს კითხვა ორივეს მინდა დაგისვათ: ნუთუ ამ ხელისუფლების ხელში დადებითს ვერაფერს ხედავთ?

**თამრიკო ჭოხონელიძე:** რაღაცები კეთდება, მაგრამ აქ იმისთვის მოვედით, რომ უარყოფითი ვამხილოთ. პოზიტიურზე თვითონ იმდენს ლაპარაკობენ, რომ ამაზე ყურადღების გამახვილება აღარ ღირს. ახლა არ არის ამის დრო. ვთვლი, რომ უბრალოდ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. მაგრამ არიან კი ისინი, ვინც დღეს რაიმეს აკეთებს, საქმის სპეციალისტები!? მიუხედავად იმისა, რომ აპოლიტიკური ვარ, ამდენი არაპროფესიონალი არ მინახავს და არც ადრე შემიმჩნევია. ავიღოთ ნებისმიერი სფერო. ნამდვილი სპეციალსტები ყველა სფეროს აკლია.

**მსმენელი:** დღეს ხალხი ნახირად გადაიქცა, მისი აზრი საერთოდ იგნორირებულია. იქნებ რაიმე ორგანო შეიქმნას, რომელიც თავის სათქმელს ხელისუფლებამდე მიიტანს? გზებისა და სკვერების მშენებლობა კარგია, მაგრამ მოსახლეობაც ხომ მისახედია. მსჯელობა მსჯელობის დონეზე რჩება. პრეზიდენტს მხოლოდ ბათუმი და ფოიერვერკები ახსოვს, ხალხისთვის არ სცალია...

**ლაშა ბუღაძე:** ეს პოზიცია გასაგებია და თქვენს პათოსსაც ვიზიარებ, მაგრამ ცალმხრივები არ უნდა ვიყოთ.

**გიორგი მოსიძე:** ხელისუფლება რაღაცას აკეთებს, მაგრამ ეს "რაღაცა" არ არის ის, რასაც ხალხი ელოდა. დღეს არსებული პოზიტივი ვერ შეედრება ნეგატივს, რომელიც მოსახლეობაში დაგროვდა. რაც შეეხება მილენიუმს, ამ პროგრამის განხორციელება ჩაფიქრებული იყო ჯერ კიდევ 90-იან წლებში. სააკაშვილი იქნებოდა თუ შევარდნაძე, ეს პროგრამა მაინც განხორციელდებოდა. არავინ იფიქროს, რომ ბუში სააკაშვილის მეგობარია. მას საქართველოში მხოლოდ სტრატეგიული ინტერესები აქვს.

**თამრიკო ჭოხონელიძე**: მახსოვს, ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა, მას ყველა აქებდა. მეც ვაღიარებ, რომ ის ძალიან ნიჭირი ადამიანია, მაგრამ იქნებ ჩვენს მდგომარეობაში მისი გარემოცვაა დამნაშავე?

**გიორგი მოსიძე:** აქ კიდევ სხვა პრობლემაც დგას. ერთი შევარდნაძის სანაცვლოდ მივიღეთ ერთი სააკაშვილი.

**მსმენელი:** ვფიქრობ, არანაირ დებატებს აზრი არა აქვს მაშინ, როცა თბილისის მერი აცხადებს, რომ ისეთი ადამიანების სახეები, როგორებიც გურამ საღარაძე და თამრიკო ჭოხონელიძეა, მობეზრდა.

**ლაშა ბუღაძე:** ამის მიზეზი ალბათ ისაა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. იმედი მაქვს, მომავალში პოზიტიურზე უფრო ბევრს ვისაუბრებთ. დიდი მადლობა ჩვენს სტუმრებს სტუდიაში მობრძანებისთვის.


## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი: GOR/201
მსოფლიო ბანკის კრედიტი № 3701-GE
ქ. გორის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება
(ვერხვების, კვერნაკის და სადგურის დასახელება)

1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. გორის წყალმომარაგების სისტემის (ვერხვების, კვერნაკის და სადგურის დასახელება) გაუმჯობესების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 400მმ და 315მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილების და 219მმ დიამეტრის ფოლადის მილების მონტაჟს, საერთო სიგრძით 13400მ, ურდულებისა და წყალმზომების მონტაჟს და დაკავშირებულ სამუშაოებს (კონტრაქტი № GOR/201). სამუშაოების ხანგრძლივობაა 12 თვე.

2 ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად (1995 წლის გამოცემა, განახლებული 1996, 1997 და 1999 წლებში). ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.

3 საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94 32 40; 94 29 47; 92 34 70; 92 34 69; ფაქსი: 94 04 39, თითოეული კომპლექტისთვის აუნაზღაურებადი 180 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი "რესპუბლიკა", გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757

ლარის ანგარიში №3834080001

დოლარის ანგარიში №334180001

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

კონკურსანტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ მისამართზე ფოსტით. თუკი კონკურსანტი მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

4 საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი, 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 20 ოქტომბრის 13:00 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 36000 (ოცდათექვსმეტიათას) ლარზე ან ექვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 20 ოქტომბერს 13:00 საათზე კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

5 დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდეგნს გაუხსნელად.



HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და ურბანისტიკის სფეროებში

### ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის

უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):
ყოფის ისტორია
■ სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში
ეთნიკურობა და საზოგადოება
■ ქალაქის სოციალური ანთროპოლოგია
პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში
■ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ*. ან 1953 წ. შემდეგ)

სოციოლოგია:
უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები
■ ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები
რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
■ "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში
გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში
■ სოციალურ-ტერიტორიული ერთობების განვითარება
მდგრადი ქალაქგანვითარება (ურბანისტიკა):
საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
■ არქიტექტურა და ხელისუფლება
ქალაქის ტოპოგრაფიის დინამიკა
■ ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა
ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები)
■ ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**
სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროგრამის მიზანია:
ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**
რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1970-1983 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2006 - 31.12.2006. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი ფონდის მიერ ორგანიზებული პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**
■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
■ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.
საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **25 ოქტომბერი, 18:00** სთ.

**საჭირო საბუთები**
1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი**



**ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"**
**OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION**

**ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" -ს საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი და ნიუ-იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტი აცხადებენ კონკურსს:**

**სოციალური მუშაკის (Social Worker) ორწლიან სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.**
**(http://www.soros.org/grants/oas)**

**პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ :**
■ **საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოში დროებით მცხოვრებ პირებს, რომელთაც აქვთ სრული საუნივერსიტეტო განათლება.**
■ **მათ, ვინც კარგად ფლობს ინგლისურ ენას და შეუძლია TOEFL -ის ჩაბარება.**
■ **მათ, ვისაც შეუძლია ორი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლა (2006 წლის აგვისტოდან).**

**(კონკურსში გამარჯვებულები ისწავლიან ნიუ-იორკის კოლუმბიის ან**
**სენტ-ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტში.**

**განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 1 ნოემბერი**

**დამატებითი ინფორმაციისა და კონსულტაციებისათვის მიმართეთ:**
**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო",**
**ჭოველიძის ქ. 10, ტელ: 25 04 63**

# "მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები


4

## თაკო ჭლარკავა

ასაკი: 17 წლის
სიმაღლე: 176 სმ.
პარამეტრები: 90-62-91

**- ადამიანის რომელ თვისებებს ანიჭებ უპირატესობას?**

- პირველ რიგში, გარეგნობას, თუმცა მისი შინაგანი ბუნებაც მეტად მნიშვნელოვანია.

**- გამართლებულად მიგაჩნია თუ არა, ქალის გარეგნობაში კორექტივების შეტანა?**

- თუ ამის აუცილებლობაა, ქალმა სახისა და სხეულის კორექცია აუცილებლად უნდა გაიკეთოს. ჯერჯერობით ამას არ ვსაჭიროებ, თუმცა, როდესაც ასაკში შევალ, პლასტიკურ ოპერაციას გავიკეთებ.

**- როგორ გააცნობდი საკუთარ თავს საზოგადოებას?**

- მირჩევნია, ამაზე სხვამ ისაუბროს, რადგან ასეთ შემთხვევაში უფრო ობიექტურ შეფასებას მივიღებ. თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და ბუნებრიობას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

**- მოდელობაზე ბავშვობიდან ოცნებობდი?**

- პოდიუმზე გასვლა ჩემი ოცნებაა, კონკურსში მონაწილეობასაც ამიტომ ვიღებ. დარწმუნებული ვარ, საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე გამოვავლენ.

**- თუ მის საქართველო გახდები, როგორ გამოხატავ ემოციას?**

- საკმაოდ გახსნილი და ემოციური ადამიანი ვარ, ამიტომ ჩემი რეაქციაც შესაბამისი იქნება. თუ ვერ გავიმარჯვებ, ამასაც წინასწარ ვარ შეგუებული.

**- კონკურსამდე ძალიან დატვირთულები ხართ?**

- ყოველდღე ვვარჯიშობთ, მაგრამ ეს აუცილებელია წარმატებისთვის.

**- ფიქრობ პროფესიონალი მოდელი გახდე?**

ეს ჩემი ოცნებაა.


7





ხმა მიეცით თქვენს რჩეულს
და აირჩიეთ
**"ტელემაყურებლის სიმპათია":**
SMS მაგთი 1060
SMS ჯეოსელი 1040
ეწვიეთ ჩვენს საიტს
www.missgeorgia.ge
და გამოავლინეთ
**"მის-ფოტოგენურობა"**

## ია გვენცაძე

ასაკი: 16 წლის
სიმაღლე: 176 სმ.
პარამეტრები: 89-61-92

**- შენ "იმიჯ-ცენტრის" მოდელი ხარ. თავიდანვე ამ სააგენტოში მოხვდი?**

- 13 წლის ასაკიდან პოდიუმზე ვარ. თავდაპირველად "T სტუდიაში" დავდიოდი. 14 წლის რომ გავხდი, "იმიჯ-ცენტრში" გადმოვედი, სადაც უდიდესი გამოცდილება შევიძინე. ჩვენებაზე არაერთხელ გამოვსულვარ და ამ მხრივ კომპლექსი არ მაწუხებს.

**- რატომ გადაწყვიტე "მის საქართველოზე" მონაწილეობა?**

- ამ კონკურსზე პატარაობიდან ვოცნებობდი. "მის საქართველოზე" გამოსვლა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. ამაში ოჯახმაც შემიწყო ხელი. დედა განსაკუთრებულ ყურადღებას მითმობს.

**- "მის საქართველოზე" უამრავი მაყურებლის წინაშე მოგიწევს გამოსვლა. წინასწარ ხომ არ გეშინია?**

- სცენას შეჩვეული ვარ. თანაც ძალიან მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. გარდა ამისა, "იმიჯ ცენტრის" მოდელობა მეტ თავდაჯერებულობას მმატებს.

**- სიმაღლე ადამიანებთან ურთიერთობისას რამე პრობლემას ხომ არ გიქმნის?**

- ბავშვობაშიც მაღალი ვიყავი, ამიტომ ამ მხრივ უხერხულობას არ ვგრძნობ.

**- წინა წლის "მის-საქართველოებს" თუ იცნობ?**

- მათთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ძალიან კარგ რჩევებს გვაძლევენ. სალომე ჩიკვილაძესთან ყველა ვმეგობრობთ, მასთან ურთიერთობა თავდაჯერებულობას გვმატებს.

**- მოდელობის გარდა რით ხარ გატაცებული?**

- კარგად ვხატავ და მსურს მომავალში მხატვარი გამოვიდე. ვინაიდან რომანტიკული ადამიანი ვარ, ხშირად ვხატავ ბუნებას.

**- თუ გაგიმართლებს, "მის მსოფლიოზეც" მოხვდები. მზად ხარ ამ გამოცდისთვის?**

- ეს დიდი გამოცდილება იქნება და წინასწარ შინაგანად ვემზადები.

**- რაზე ოცნებობ?**

- მინდა ბედნიერი ვიყო ჩემს ახლობლებთან ერთად. გარდა ამისა, მინდა, პროფესიონალი მოდელი გამოვიდე, რადგან ამ საქმეში დიდი შრომა ჩავდე.





გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (მსპ) ოფისი თანამშრომლობისათვის იწვევს სატრანსპორტო კომპანიებს მონაწილეობა მიიღონ მსპ-ს ტვირთების გადაზიდვაში საქართველოს მასშტაბით.

გთხოვთ, ა.წ. 15 სექტემბრამდე მოგვაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია კომპანიის/ფირმის პროფილის შესახებ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 39ა, IX სართული.
მსპ საქართველოს ოფისის დირექტორს, ქ-ნ ინგე ბროიერს

**უფროს კლასელთა საყურადღებოდ!**
**კავკასიის უნივერსიტეტი (კავკასიის ბიზნესის სკოლა /csb/)**

აცხადებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების X-XI კლასელთა მიღებას მოსამზადებელ განყოფილებაზე, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის პროფილით.

საბუთების მიღება წარმოებს 5-დან 25 სექტემბრამდე.

**გთხოვთ, ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:**
**მის: კოსტავას 77, VI კორპ., IV სართ.**
**ტელ: 941-691 , მობ. (899) 925-098**
**საკონტაქტო პირი: ქეთი ქორქია**




**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს**
**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის**
წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 400 000 ლარს.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში და ვერ დააგროვეს 45 ქულაზე მეტი.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 24 ოქტომბერი, 17:00 სთ.

ყოველ სამშაბათს, 12 საათზე ჩატარდება კონსულტაცია დაინტერესებულ პირთათვის.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201 E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი · პარასკევი, 16 სექტემბერი, 2005 წელი. №207 (1067) · ფასი 50 თეთრი

ამბები
A3

ამბები
A3

ამბები
A3

პროექტი
A4

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აბიტურიენტების საბოლოო სია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აქვეყნებენ საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აბიტურიენტების საბოლოო სიას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

პუბლიკაციაში მითითებულია ფაკულტეტის, სპეციალობის დასახელება, ჩარიცხული სტუდენტის გვარი და სახელი, მიიღო თუ არა სახელმწიფო გრანტი და აბიტურიენტის საკონკურსო ქულა იმ ფაკულტეტისათვის, რომელზეც იგი ჩაირიცხა.

